ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

## თბილისის რომელ უბანშია ყველაზე ძვირადღირებული სახლები



გვ.6

24 აგვისტოდან

100 წიგნი

ადამიანები, რომლებმაც შეცვალეს მსოფლიო

ტომი 52




ლინკოლნი

ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი

შაბათი – კვირა, 26 – 27 აგვისტო, 2017 №202 (7437) ფასი: 50 თეთრი

# „ქართული ოცნება", პატრიოტთა ალიანსი და ბოკერიას ფრთა გაერთიანდნენ"



გვ.2

## ლადო სადღობელაშვილი: „არჩევნებს ყველამ ბოიკოტი უნდა გამოუცხადოს"

პატრიოტთა ალიანსისა და ბოკერიას ფრთის ერთად ყოფნა როგორ წარმოგიდგენიათ? ალიანსი მკვეთრად პრორუსულია, ბოკერიას ფრთა – მკვეთრად პროდასავლური.



## „შემოდგომაზე ივანიშვილი პოლიტიკურ ხანძარს მიიღებს რუსთაველზე"

### ბეჟან ნათელაშვილი: „მთავრობამ შეიძლება თვითმფრინავამდე ველარ მიასწროს"



გვ.3

## გია გვაზავა: „აფხაზეთს საქართველოდან გამოყოფის უფლება არ უნდა ჰქონდეს"

გვ.3






## კერძო სექტორმა განათლებაში ინვესტირება დაიწყო

გვ. 5

## ზაზა ხატიაშვილი: „ამ ფარსში მონაწილეობას არ მივიღებ!"



გვ.4

## ბანკებისა და მიკროსაფინანსოების მიერ დასაკუთრებული ქონება 184,1 მლნ ლარს შეადგენს

გვ.6



ISSN 1987-9385



გვ.6

## იანვარ-ივლისში მსუბუქი ავტომობილების იმპორტი მცირედით არის გაზრდილი

# „ქართული ოცნება", პატრიოტთა ალიანსი და ბოკერიას ფრთა გაერთიანდნენ"

მარსაგიშვილი

## ლადო სადღობელაშვილი: „არჩევნებს ყველამ ბოიკოტი უნდა გამოუცხადოს"





**რატომ არ წავიდნენ სტიქიის ზონაში ქართული მარშის წევრები, რა გარიგება დადო „ოცნებამ" რამდენიმე პარტიასთან, რატომ დაკარგა აზრი არჩევნებმა? – ამის შესახებ „ახალ თაობას" ქართული მარშის ერთ-ერთი ორგანიზატორი ლადო სადღობელაშვილი ესაუბრება.**

**ლადო სადღობელაშვილი:**

– გაგანია სტიქიის დროს ცნობილი გახდა, რომ გიგა ბოკერია და ნიკა გვარამია დაკითხვაზე დაიბარეს. ეს სხვა არაფერია, თუ არა მორიგი სპექტაკლი. მას შემდეგ, რაც შინაგან საქმეთა მინისტრისა და რუსი ხაკერების საუბრის ჩანაწერი გავრცელდა, ეჭვი აღარავის ეპარება იმაში, რომ „ქართული ოცნება" ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლების გასამართლებას არ აპირებს.

ეს ყველაფერი არის სპექტაკლი და ბოლო 2 წელია, რაც ყველანი ამ დიდი სპექტაკლის მონაწილეები ვართ. ახლა ეს ორი დამნაშავე დაკითხვაზე მხოლოდ იმიტომ დაიბარეს, რომ გააჩინონ რაღაც ილუზიები, თითქოს სამართლიანობის აღდგენას აპირებენ.

სპექტაკლის გარდა, არის მეორე მომენტიც, კრიმინალების დაკითხვაზე დაბარება დროში საეჭვოდ დაემთხვა პატრიოტთა ალიანსის დაანონსებულ აქციას. მათი ერთ-ერთი მოთხოვნა გიგა ბოკერიას დაკავებაა.

მოვლენებს ვაკვირდები და აშკარაა, რომ პატრიოტთა ალიანსი, ბოკერიას ფრთა და „ქართული ოცნება" ერთ ორკესტრში დამკვრელ სუბიექტებს ჰგვანან. ყველანი ერთ „სკრიპკაზე" უკრავენ.

***– ერთ „სკრიპკაზე" დაკვრა რით გამოიხატება?***

– ბევრ რამეში. ამ სამივე სუბიექტს ერთი ტიპი ათამაშებს და ის ერთი ტიპი რომ ბიძინაა, ამას ყველა მიხვდება.

პატრიოტთა ალიანსის მოთხოვნები ვახსენე და მათ რუსთავი 2-ის საქმის გამოძიებაც მოითხოვეს, ვხედავთ, რომ ნიკა გვარამიაც დაიბარეს. კვლავ ვიტყვი, რომ ეს ყველაფერი სპექტაკლის ნაწილია და ამაში საქართველოსთვის სასარგებლო არაფერია. უკვე აშკარაა, რომ არცერთი ხელისუფლება არ აპირებს სამართლიანობის აღდგენასა და დამნაშავეების დასჯას.

შევარდნაძის ხელისუფლება თავად იყო კორუფციაში გასვრილი და სხვას, ბუნებრივია, ვერ დასჯიდა. შევარდნაძის ხელისუფლების მომხრეებმა მოკლეს ზვიად გამსახურდია და ის ხელისუფლება ამ მკვლელობას, ცხადია, არ გამოიძიებდა. სამწუხაროდ, ქვეყნის პირველი პრეზიდენტის მკვლელობა არც ნაციონალებმა გამოიძიეს და არც „ქართული ოცნება" აპირებს ამის გაკეთებას.

სააკაშვილის დროს თითქოს დაიწყეს კორუმპირებულების გასამართლება, მაგრამ ესეც ბლეფი გამოდგა.

***– რატომ გამოდგა ბლეფი, ვიღაცებს ხომ მოატანინეს ფული?***

– მხოლოდ რამდენიმე კორუმპირებულს მოატანინეს ფული. სხვა დანარჩენი მხოლოდ პიარი იყო. ნაციონალებმა კარგად შეისრუტეს შევარდნაძის კორუმპირებულები. „ოცნებამ" ამ მხრივ ყველა რეკორდი მოხსნა.

აქამდე ის მაინც გვესმოდა, დამნაშავე რეჟიმის წარმომადგენლებს გავასამართლებთო. ახლა ამაზე აღარც კი ლაპარაკობენ. მეტსაც გეტყვით, ვიღაც ქოცები უკვე ღიად ამბობენ, წარსულის ქექვას უნდა მოვრჩეთ და წინ ვიაროთო.

„ქართული ოცნებისთვის" ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლების გასამართლება კატასტროფის ტოლფასი იქნება.

***– კატასტროფის ტოლფასი რატომ იქნება?***

– აბა, წარმოიდგინეთ, ყველა დამნაშავე ნაცი რომ ციხეში მოხვდეს, ვის გადააბრალებენ ესენი თავიანთ უსუსურობას? ამიტომაც ამბობენ ქოცელემენტები, წარსულის ამოქექვას უნდა შევეშვათო. წარსულის ამოქექვა სხვა მიზეზითაც არ აწყობთ. ამ ქექვის დროს მათი ნაციონალური თავგადასავლებიც ამოტივტივდება.

ჩემი სიტყვა დაიმახსოვრეთ, არჩევნებამდე რამდენიმე დღით ადრე გამოხტება სააკაშვილი და იტყვის, საქართველოში ვბრუნდებიო. ქოცებიც აკივლდებიან, ჩვენ თუ არ აგვირჩიეთ, ეს გადარეული დაბრუნდებაო. აქამდეც ნაციონალების დაბრუნების შიშით იღებდნენ ხმებს და ახლაც ამის გაკეთებას შეეცდებიან.

***– ნაცების დაბრუნებით როგორ უნდა შეაშინონ ხალხი, თავად არ თქვით, ერთად არიანო?***

– ერთად არიან. ბოკერიას ფრთა და პატრიოტთა ალიანსი ნამდვილად „ოცნებასთან" ერთად ერთ თამაშს თამაშობენ.

***– პატრიოტთა ალიანსისა და ბოკერიას ფრთის ერთად ყოფნა როგორ წარმოგიდგენიათ? ალიანსი მკვეთრად პრორუსულია, ბოკერიას ფრთა – მკვეთრად პროდასავლური.***

– ერთი მართლაც ალთას არის პოლიტიკურად, მეორე – ბალთას. მათ შორის ხიდს კი „ოცნება" და ივანიშვილი წარმოადგენენ. ძალიან საინტერესო გათვლაა, ბატონმა ბიძინამ ყველა სეგმენტი დაიკავა. როდესაც ყველა მოთამაშე შენს განკარგულებაშია, კომბინაციებსაც შენს გემოზეააწყობ. იმედი მაქვს, ამას ჩვენი საზოგადოებაც მიხვდება.

საზოგადოება ალბათ იმასაც მიხვდება, თუ რატომ ანაცვალა „ოცნებამ" საკუთარ რეიტინგს უზარმაზარი ტყის მასივი. ხანძრის ჩასაქრობად რუსეთისთვის რომ ეთხოვათ დახმარება, ეს მათ რეიტინგს დააგდებდა. რეიტინგი კი ისედაც აღარ აქვთ.

***– იმ რუსეთისთვის ნამდვილად არ უნდა ეთხოვათ დახმარება, რომელმაც საქართველოს ტერიტორიების ოკუპაცია მოახდინა.***

– კარგით, რუსეთს არ სთხოვეს დახმარება იმიტომ, რომ ოკუპანტია, მაგრამ, რატომ მიიღეს პუტინის მეგობრის, ლუკაშენკოს დახმარება? არც ეს იყო გამართლებული.

***– ლუკაშენკოსა და ბელარუსს საქართველოს ტერიტორიების ოკუპაცია არ მოუხდენიათ.***

– სამაგიეროდ, ლუკაშენკო ევროპის უკანასკნელ დიქტატორად არის მონათლული. მის დახმარებას რომ იღებ, ამ ოკუპანტისგანაც მიიღე, ჩააქრობინე ოკუპანტს ხანძარი.

მე სერიოზული ეჭვი მაქვს იმასთან დაკავშირებითაც, რომ ხელისუფლებას არ უნდა ამ ხანძრის ჩაქრობა. არის სერიოზული ეჭვი, რომ ამ ტყეში დიდი რაოდენობით ხეები მოჭრეს და გაიტანეს, ხანძარი კი კვალის დასაფარავად გააჩინეს.

დღეს ბევრს საუბრობენ რუსულ დივერსიაზე. მე ამას არ გამოვრიცხავ, მაგრამ მგონია, რომ ეს ხანძარი კვალის დაფარვის მიზნით გაჩნდა. ასევე მაინტერესებს, თუ რატომ არ ტოვებს თანამდებობას გარემოს დაცვის მინისტრი.

***– გიგლა აგულაშვილმა რატომ უნდა დატოვოს თანამდებობა?***

– იმიტომ, რომ გარემოს დაცვა მას ეხება. კაცს ნახევარი საქართველო დაეწვა და ისევ თანამდებობაზეა. ამ ბატონმა ისიც უნდა აგვიხსნას, სად იმალებოდა ეს დღეები. ის ხანძრის გაჩენიდან მეხუთე დღეს გამოჩნდა, „ზაგარი" გაამარიაჟა და ისევ გაქრა.

გარემოს დაცვის მინისტრის გაელვებამ 2008 წლის აგვისტო გამახსენა. მაშინ ომი, ფაქტობრივად, დაწყებული იყო, მაგრამ თავდაცვის მინისტრი არსად ჩანდა. დავით კეზერაშვილი მოგვიანებით გამოჩნდა და ისეთ მდგომარეობაში იყო, რომ ჯობდა, საერთოდ არ დაგვენახა. დაახლოებით ასეთივე სანახავი იყო გადამწვარი საქართველოს ფონზე „დაზაგრული" გიგლა აგულაშვილი.

***– ხანძარი ახსენეთ და აუცილებლად უნდა გკითხოთ, რატომ არ წახვედით ქართული მარშის წევრები მის ჩასაქრობად?***

– რომ წავსულიყავით, რა უნდა გაგვეკეთებინა? იქ მოხალისეები წავიდნენ და ხანძართან არავინ მიუშვა. ჩვენი იქ ჩასვლით ხელს შევუშლიდით მხოლოდ. სელფების გადაღებასა და ამ ტრაგედიით პიარის გაკეთებას არ ვაპირებთ.

ნაციონალები რომ გამოხტნენ, მზად ვართ, 2000 კაცი გამოვიყვანოთ ხანძრის ჩასაქრობადო, სად არიან? ეს ყველაფერი პოპულიზმია. ხანძართან არავის მიუშვებენ და ტყუილად იქ ჩასვლას აზრი არა აქვს.

მეხანძრეები და მაშველები ძალიან მაგარ საქმეს აკეთებენ, მაგრამ ჩვენც ვაკეთებთ საერო საქმეს, ნარკოტიკების წინააღმდეგ ბრძოლა პატარა ამბავია? ჩვენმა აქტიურობამ უკვე გამოიღო შედეგი და რამდენიმე ბარიგა დააკავეს. პროსტიტუციის წინააღმდეგაც გააქტიურდნენ სამართალდამცავები.

სექტემბერში ჩვენ ვიწყებთ აქციებს. მოსახლეობას არჩევნების ბოიკოტისკენ მოვუწოდებთ. ეს ხელისუფლება უნდა შეიცვალოს. სანამ ასეთი უუნარო ხელისუფლება გვყავს, ხანძრებიც იქნება და ათასი უბედურება კიდევ. ახლავე თუ არ დავანიშვნინეთ ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები, ხვალ, შესაძლოა, ნაციონალებს გადააბარონ ხელისუფლება. თავად უსაფრთხოების გარანტიებს მიიღებენ და საქართველო საერთოდ არ აინტერესებთ.

ქვეყნისთვის თუ სიკეთე გვინდა, ამ არჩევნებს ყველამ ბოიკოტი უნდა გამოვუცხადოთ. თვითმმართველობის არჩევნები მაინც არაფერს გადაწყვეტს, თანაც „ოცნებას" უკვე განაწილებული აქვს მანდატები რამდენიმე პარტიაზე, ყველა დანარჩენი კი მშრალზე დარჩება. ამას ბოიკოტი სჯობია. ბოიკოტითა და აქციებით ვადამდელ არჩევნებს უნდა მივაღწიოთ. კოაბიტირებული ნაცები და ქოცები ქვეყანას დაღუპავენ. საქართველომ ახალი და ღირსეული არჩევანი უნდა გააკეთოს.





ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „შემოდგომაზე ივანიშვილი პოლიტიკურ ხანძარს მიიღებს რუსთაველზე“

შორენა მარსაგიშვილი

**რით უპასუხებს ხალხი ხელისუფლების უუნარობას, რა უნდა დაბრალოს საკუთარ თავს ამომრჩეველმა, რატომ აღარ დაელოდებიან პოლიტიკოსებს?**
**– ამ თემებზე „ახალ თაობას" ლეიბორისტული პარტიის წევრი ბეჟან ნათელაშვილი ესაუბრება.**

## ბეჟან ნათელაშვილი: „მთავრობამ შეიძლება თვითმფრინავამდე ვეღარ მიასწროს“



**ბეჟან ნათელაშვილი:**
– დღეს ქვეყანაში არის სრული ქაოსი და საქართველოს არ ეტყობა, რომ ხელისუფლება ჰყავს. ის პრემია-დანამატები, რაც ამათ მარტო ერთი წლის განმავლობაში აიღეს, რამდენიმე ვერტმფრენის საყიდლად იქნებოდა საკმარისი. გვეყოლებოდა ვერტმფრენები და აღარ გადაიბუგებოდა ნახევარი საქართველო. არავინ არ იცის, როდის აღდგება ჩვენი სიმდიდრე - ბორჯომის ტყე. მის აღდგენას ჩვენი მომავალი თაობაც კი ვერ მოესწრება.

სამწუხაროდ, „ქართულმა ოცნებამ“ ქვეყანა საძოვრად აქცია. მიშვებულები არიან და ძოვენ აქაურობას, სანაცვლოდ კი არაფერს იძლევიან. რაც თავად ჩვენი მოსახლეობის ბრალია.

***– მოსახლეობას რაში ადანაშაულებთ, ხელისუფლებას რომ არ წველიან ანუ არ აიძულებენ საქმე გააკეთონ?***

– მოსახლეობას ბევრ რამეში მიუძღვის ბრალი. ხალხი თავის ადგილზე რომ დამდგარიყო, ესენი ამდენს ვერ გაბედავდნენ. ამის გარდა, ჩვენი ხალხი ორჯერ შეცდა, როცა ამათ საპარლამენტო არჩევნებზე მხარი დაუჭირა. 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ საქართველო სრული კატასტროფის წინაშე დადგა.

2012 წელს გაკეთებული არჩევანის გამო ხალხს ნაკლებად ვსაყვედურობ, მაშინ თითქოს მეტი გამოსავალი არ იყო, მაგრამ 2016 წლისთვის უკვე სხვანაირად უნდა ეფიქრა ამომრჩეველს. სიმართლე რომ ვთქვათ, ქოცების გამარჯვება მარტო ხალხის ბრალი არაა. მთავრობამ ყველაფერი იკადრა. მივიწყებული სომხური კარუსელიც კი გამოიყენეს. აღარაფერს ვამბობ ხალხის მოსყიდვასა და დაშინებაზე. განსაკუთრებით ცუდად ივაჭრეს სოციალურად დაუცველებთან. ამის შედეგად მივიღეთ გადამწვარი საქართველო.

***– ხელისუფლების ზოგიერთი წარმომადგენელი აცხადებს, რომ ხეებს მარტო ხმელი ფოთლები დაეწვათო. ამაზე რას იტყვით?***

– ვინც ეგ განცხადება გააკეთა, სრული იდიოტია. ჩაქრება ეს ხანძარი და მერე უნდა მოვიკითხოთ, ვინ სად იყო გაქცეული სტიქიის დროს. გარემოს დაცვის მინისტრი ბორჯომში ხანძრის გაჩენიდან მეხუთე დღეს გამოჩნდა მხოლოდ. კრიზისების მართვის საბჭოს მდივნის მოადგილე, რომელიც იქ უნდა ყოფილიყო, პარიზში გავარდა გასართობად.

***– გასართობად არ წასულა, ჭიდაობაში იყო მსოფლიო ჩემპიონატი და ამიტომ წავიდა.***

– მაგის გარეშე ეგ ტურნირი ვერ ჩატარდებოდა? სირცხვილია, რომ ასე იქცევიან თანამდებობის პირები, თორემ ჭიკაიძე იქ არც ხანძარს ჩააქრობდა და არც ჭკვიანურ განცხადებას გააკეთებდა. აღმოჩნდა, რომ მაგაზე უარეს განცხადებებს აკეთებენ – ბორჯომში ტყე აღარ არის და ხმელი ფოთლები დაიწვაო, გაიძახიან.

***– იმასაც ამბობენ, ეს ტყე ისედაც დამწვარი იყო რუსების მიერ და ბევრი აღარაფერი დამწვარაო.***

– ამ ტყის ნაწილი რუსებმა გადაწვეს 2008 წელს, მაგრამ მაშინ ომის პირობებში მოხერხდა ხანძრის ჩაქრობა. ახლა კი, ამდენი დღეა ხანძარია და ვერაფერს ახერხებენ.

თავიდან ხანძარი რომ გაჩნდა, ორი დღის მანძილზე არაფერი არ გაუკეთებიათ. ერთ-ერთმა თანამდებობის პირმა ასეთი „სიბრძნეც“ კი დააბრეხვა, ცეცხლს ისეთი თვისება აქვს, თუ არ აინთო, ვერ ჩააქრობო. საინტერესოა, სად კითხულობენ ამ „სიბრძნეებს“.

***– ეტყობა, ძველ ჩინურ ფილოსოფიას ეცნობიან.***

– მაგათ არც ძველი ჩინური ფილოსოფიის ცნობისა ეტყობათ რამე და არც ახლის. ეგ არის ქოცური სიბრძნე. ამათ თავიდანვე რომ მოეხდინათ რეაგირება, ამხელა ტერიტორია არ დაიწვებოდა. ჩვენს მეხანძრეებს, მაშველებს და მოხალისეებს რომ გმირობა არ გამოეჩინათ, არც კი მინდა წარმოდგენა, რა მოხდებოდა. ამათ თავები დაიხოცეს და აგერ ნახავთ, პრემიებს ეს უსაქმურები გამოიწერენ.

დიდი იმედი არა მაქვს, რომ ამ ტრაგედიის გამოძიება მოხდება, მაგრამ ყველაფერი მეტყველებს იმაზე რომ დამნაშავეა ხელისუფლება.

***– ისე რომ ვთქვათ, რაში აწყობდა ხელისუფლებას ეს ხანძარი? ეს ხომ მისი მოწინააღმდეგეების წისქვილზე დაასხამს წყალს?***

– მაშინ მე გკითხავთ, რატომ არც ერთი ხანძრის გამომწვევი მიზეზი არ არის დადგენილი. უკვე სათვალავიც კი ამერია, თუ რამდენი ბაზრობა და ტყე დაიწვა. ერთი საქმის გამოძიება მაინც მომხდარიყო. როცა ამდენი ხანძარია და გამოძიებული არაფერია, ეს ხელისუფლებას ავტომატურად ხდის ეჭვმიტანილად. გამოძიებას არც ელოდოთ, სად გაგიგიათ, რომ მელამ თავისი კუდი მოიჭრას.

თავის თავის მტერია თუ არა ეს ხელისუფლება, ვერ გეტყვით, მაგრამ ხალხის მტერი რომ არის, ამაში ეჭვი აღარავის ეპარება. ეს ყაჩაღი ბანკირებიც რა დღეში არიან ხომ ხედავთ. ნახევარი საქართველო სახლებიდან გამოყარეს და ახლა გამოდიან, ბორჯომის ტყეს ჩვენ აღვადგენთო.

***– თუ დამწვარი ტყის აღდგენაში მიიღებენ მონაწილეობას, ეს მხოლოდ მისასალმებელია.***

– დამწვარ ტყეს რომ მიახტნენ, აქამდე სად იყვნენ? უსაფრთხოების სისტემის გაძლიერებაზე ეფიქრათ.

***– ეგ ბანკების მოვალეობა არ არის, უსაფრთხოების გაძლიერებაზე სახელმწიფომ უნდა იზრუნოს.***

– ასე თუ ვიმსჯელებთ, არც დამწვარი ტყის აღდგენაა ბანკების საქმე დარწმუნებული ვარ, არც უნდათ ამის გაკეთება, უბრალოდ, ეს ყაჩაღები ცდილობენ, გმირების მანტიები მოისხან. არც იმას გამოვრიცხავ, რომ ეს მხოლოდ განცხადებები იყოს. ამ განცხადების გაკეთება კი მათ ივანიშვილმა დაავალა, რომელმაც ეს ბანკები ოფიციალურ ყაჩაღებად აქცია. მთელი საქართველო დღეს მათ ხელშია.

ყველა რატომღაც უნიათოს უწოდებს ხელისუფლებას, სინამდვილეში ეგენი არიან თაღლითები. დღეს საქართველოს თაღლითების ბანდა მართავს. ყველაზე დიდი თაღლითი შუშის კოლბაში ცხოვრობს და მისი სახელია ბიძინა.

ამ დიდმა თაღლითმა და თაღლითუკებმა ახლა დენის ტარიფის გაძვირება გადაწყვიტეს. გაზი უკვე გაძვირებულია. ვაფრთხილებ ქოცებს, თავი დაანებონ ხალხის ყვლეფას, თორემ შემოდგომაზე რუსთაველზე ისეთ პოლიტიკურ ხანძარს მიიღებენ, რომელსაც ვერაფრით ვეღარ ჩააქრობენ. შეიძლება ისეთი აქციები დაიწყოს, რომ მთავრობამ გასაქცევად თვითმფრინავებამდე მისვლაც კი ვერ მოასწროს.

დენის ტარიფის გაძვირებაზე როცა ვსაუბრობ, აუცილებლად უნდა გავიხსენო 18 აგვისტოს გამართული სემეკის სხდომა. სამწუხაროდ, იმ დღეს თბილისში არ ვიყავი. რას წარმოვიდგენდი, თუ ხელისუფლება ასე გათავხედდებოდამ თორემ ქალაქს არ დავტოვებდი და იმ აქციაში მეც მივიღებდი მონაწილეობას.

ეს იყო ისტორიული აქცია, ჩვენ ხელისუფლება ვაიძულეთ, თავისი ნამდვილი სახე გამოეჩინა. გლეხურად რომ ვთქვათ, კახა კალაძე არის მთავარი ენერგომაფიოზი, ის თბილისელებს უძვირებს დენს და თან ეუბნება, მერად ამირჩიეთო. იმ თბილისელს ხომ უნდა მოსტყდეს ხელი, ვინც ამ ენერგომაფიოზს მერად აირჩევს. რანაირი მერი იქნება, როცა ფეხბურთელადაც კი ვერ ივარგა.

***– ფეხბურთელად ვერ ივარგაო, მაგის თქმა არ შეიძლება. უვარგისი რომ ყოფილიყო, „მილანში“ არავინ ათამაშებდა.***

– „მილანში“ თამაშობდა, მაგრამ საკუთარ კარში ერთ მატჩში 2 გოლი გაიტანა. ასეთი რამე კი ისტორიას არ ახსოვს. თან ეს ავტოგოლები მაინცდამაინც იტალიასთან თამაშის დროს გაიტანა. 2 ავტოგოლს იდიოტი და არიფი მოთამაშეც ვერ გაიტანს ერთ მატჩში, კალაძეზე კი ვთანხმდებით, რომ კარგი მოთამაშე იყო.

კალაძეზე ბევრი ვისაუბრე, მაგრამ დენის გაძვირების მოთხოვნა ივანიშვილისგან მოდის, ის არის მაკარ კოტრიაშვილი, რომელიც ამბობდა, მილიონს რომ ერთი კაპიკი დააკლდეს, მილიონი აღარ არისო. შესაბამისად მისთვის ფული არის სალოცავი და ღმერთიც. მოდით ისიც ვთქვათ, რითი დაიწყო და რითი დაამთავრა სამართლიანობს აღდგენა. მან მხოლოდ ის თანხა ამოიღო, რითაც სააკაშვილმა აზარალა. ეს არის და ეს. სხვებისთვის წართმეული ქონება არ დაუბრუნებიათ.

***– თქვენ ახსენეთ რომ თბილისში აქციები დაიწყებაო. რაიმე გეგმა აქვს ოპოზიციას მომზადებული თუ რის საფუძველზე ამბობთ ამას?***

– რამდენიმე პარტიამ უკვე დააანონსა აქცია, მაგრამ მე სხვა მღელვარებაზე ვსაუბრობდი. ყველა მიმართულებით არის რეგრესი. ხალხი ისეთ დღეშია, რომ პარტიების მოწყობილი აქციები არაფერში სჭირდება. ყველაზე საშინელი კი ასეთი გამოსვლებია. ხელისუფლებამ თუ ვითარება არ გამოასწორა, რუსთაველზე მიიღებს დიდ პოლიტიკურ ხანძარს. ისედაც ამდენი ხანია ითმენს ხალხი.

არ გამოვრიცხავ, რომ სოციალურ მოთხოვნებს პოლიტიკურიც დაემატოს. მოგეხსენებათ, რომ წელს არჩევნები ტარდება. ესენი არჩევნებს გააყალბებენ და ხალხი ამას უკვე აღარ მოითმენს.

***– დარწმუნებული ხართ, რომ ხალხი სოციალური მოთხოვნებით გამოვა ქუჩაში?***

– არ გამოვა და იმაზე უარეს დღეში ჩავარდებიან, ვიდრე ახლა არიან. ამ თაღლითებისთვის მთავარი პრემია-დანამატებია, ხალხი და ქვეყანა საერთოდ არ აინტერესებთ. ხალხმა საკუთარ თავს თავად უნდა გაუწოდოს დახმარების ხელი. პოლიტიკოსები მათ გვერდით უნდა დავდგეთ, მაგრამ მთავარი მაინც ხალხია.

# გია გვაზავა: „აფხაზეთს საქართველოდან გამოყოფის უფლება არ უნდა ჰქონდეს“

გულიკო ბალაძე

**– ერთ ხელშეკრულებას თუ დამისახელებთ, რომელიც 200 წლის განმავლობაში რუსეთმა არ დაარღვია, მაშინ ხელებს ავწევ, – აცხადებს „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე გია გვაზავა.**



***– ბატონო გია, სირიაში გარკვეული სახელმწიფოებისთვის რაღაც გამოფენა მოეწყო, სადაც გამოჩნდნენ აფხაზი სეპარატისტები, ანუ საოკუპაციო რეჟიმის წარმომადგენლები. თქვენ როგორ აფასებთ ამგვარ ფაქტებს? ეს რას ნიშნავს?***

– სირიაში მათი გამოჩენა რუსული პოლიტიკის შედეგია. სირიაში არის რუსეთი. სირიაში პროცესებს რუსეთი ხელმძღვანელობს და მათი მეშვეობით მოხვდნენ აფხაზი სეპარატისტების წარმომადგენლები სირიაში. რუსეთმა გააკეთა ის, რასაც ყოველთვის აკეთებდა. რუსეთს სურს, სეპარატისტული რეგიონები დამოუკიდებელ სახელმწიფოებად წარმოადგინოს.

***– დღეს თითქმის მთელი მსოფლიო, მათ შორის, ჩვენი პარტნიორი დასავლეთი, სირიის პრეზიდენტის ასადის, როგორც დიქტატორის წინააღმდეგ მოქმედებებს, მაგრამ მაინც, თუ შეგვეძლო ჩვენ რამენაირად დაგვემყარებინა დიპლომატიური კავშირი და თავიდან აგვეცილებინა ამგვარი რუსული გამოხდომები?***

– არა მგონია. დღეს ასადი მთლიანად რუსეთზეა დამოკიდებული. ჩვენი გულისთვის ნამდვილად არ გაიფუჭებდა ურთიერთობას. მე ასე ვფიქრობ. რა თქმა უნდა, ქართულმა დიპლომატიამაც უნდა გააკეთოს რეაგირება. საგარეო საქმეთა სამინისტროს დონეზე განცხადება უნდა გაკეთდეს.

***– სხვათა შორის, ქართულ მედიაში იყო აპელირება იმაზე, რომ 2008 წლის ომის შემდეგ, გრიგოლ ვაშაძე შეხვდა სირიის საგარეო საქმეთა მინისტრს. ეს დადებით კონტექსტში განიხილებოდა და, ალბათ, იყო კიდეც დადებითი მომენტი.***

– ალბათ. ასეთი შეხვედრები საჭირო და აუცილებელია.

***– თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მაშინ რუსეთი სირიაში ისე არ იყო ფეხმოკიდებული.***

– დიახ, მაშინ რუსეთი სირიაში არ იყო დამკვიდრებული. ახლა, პრაქტიკულად, სადამის ძალაუფლებას მხოლოდ რუსეთი იცავს.

***– რუსეთი სეპარატისტებს აღმა-დაღმა რომ დაატარებს (სხვა ფაქტებიც არსებობს, სადაც ჰყავდა გამოფენებზე), არ არის შესაძლებელი, როგორც ოკუპირებული ტერიტორიიდან დევნილი ხელისუფლების წარმომადგენლების ჩართვა დიპლომატიურ ურთიერთობებში?***

– ამ წინადადებას ქართული დიპლომატიის წინაშე ჩვენ ყოველთვის ვაყენებთ. ზოგჯერ ხერხდება ხოლმე ჩვენი ჩართვა. უფრო მეტი ინტენსივობით რომ ვიყოთ წარმოჩენილი, რა თქმა უნდა, უკეთესი იქნება.

***– ჩვენი ჩართვა ზოგჯერ ხერხდებაო, ამბობთ, ალბათ, არ გინდათ, საგარეო უწყება გააკრიტიკოთ. ხომ არ გვეტყვით მაგალითებს, სად ჩაგრთეს, სად იმყოფებოდით?***

– როგორ არა, ძალიან მაღალი დონის შეხვედრებში ვმონაწილეობდით. ამერიკაში ვიყავით და ამერიკაში ჩვენმა საელჩომ მოაწყო შეხვედრა სახელმწიფო დეპარტამენტში, მათთან, ვინც კურირებენ სამხრეთ კავკასიას. ძალიან კარგი შეხვედრა იყო. ამისთვის დიდი მადლობა ჩვენს საელჩოს. ასეთივე შეხვედრა იყო ბრიუსელში. იქაც გვქონდა შეხვედრები სამჯერ. გამოფენაც კი გავაკეთეთ. უფრო ინტენსივობით რომ ყოფილიყო შეხვედრები, კიდევ უკეთესი იქნებოდა.

***– ქართულ მედიაში რატომ არ შუქდება ეს აქტივობები?***

– არ ვიცი, ეს უკვე მედიის ბრალია. ჩვენს საიტზე ინფორმაცია იტვირთება ხოლმე. ბოლო დროს, მოკლე ხანში, ორჯერ იყო შეხვედრა ბრიუსელში. კარგი შეხვედრა გვქონდა სტრასბურში.

***– როდესაც თქვენ უშუალოდ ესაუბრებოდით, როგორც სოხუმის მკვიდრი, რას გეუბნებიან მხარეები?***

– ხომ ხედავთ, რუსეთი როგორ პოლიტიკას ატარებთ, ცოტა უნდა დავიცადოთ. აფხაზეთში მცხოვრებ მოსახლეობასთან დიპლომატიის დონეზე კავშირი უნდა გქონდეთო და ა.შ.

გაგრძელება მე-4 გვერდზე

ნონა ცაბაძე

# ზაზა ხატიაშვილი: „ამ ფარსში მონაწილეობას არ მივიღებ!“

## „დადგნენ წულუკიანი და კვირიკაშვილი და ჩაატარონ სამთავრობო კომისიის სხდომა ჩვენ გარეშე“

**ადვოკატთა ასოციაციის პრეზიდენტი ზაზა ხატიაშვილი კომისიის სხდომას, რომელზეც სტრასბურის მოსამართლობის კანდიდატები უნდა შეერჩიათ, არ დაესწრო.**



– მე ვარ ამ კომისიის შემადგენლობაში და, ვინაიდან სამთავრობო კომისიის თავმჯდომარე არის იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი, მე ამ კომისიის სხდომაში პროტესტის ნიშნად მონაწილეობას არ მივიღებ! საქართველოს მთავრობა უკვე მერამდენედ ცდილობს ისეთი კანდიდატის გაყვანას, რომელიც თავს მოჭრის საქართველოს სტრასბურის სასამართლოში, – განაცხადა ზაზა ხატიაშვილმა, რომელიც „ახალი თაობის“ კითხვებს პასუხობს.

***– ბატონო ზაზა, რამ განაპირობა თქვენი პროტესტი?***

– ჩვენ ვითხოვდით პრემიერ-მინისტრისგან, რომ კომისიის წევრები შეეცვალა, თუმცა კვირიკაშვილმა რვავე წევრი უცვლელად დატოვა. ეს ადამიანები მათთვის მიუღებელ კანდიდატებს, რომლებიც ყველაზე ღირსეულები და პროფესიონალები არიან, ყველაზე დაბალ ქულას, ერთიანებს უწერენ, რათა მეორე ტურში არ მოხვდნენ. მაგალითად, კონსტანტინე კორკელიას ამ რვა წევრიდან 5-მა ერთიანი დაუწერა, ხოლო მოსამართლე ნინო ბაქაქურს შვიდმა დაუწერა მინიმალური ქულა – ერთიანი. მათ შორის სამიდან ორმა მოსამართლემ, წარმოგიდგენიათ? კოლეგამ! ეს ყველაფერი არის ფარსი და ამ ფარსში მონაწილეობას აღარ მივიღებ!

***– კომისიის წევრების მიმართ გაქვთ პროტესტი?***

– მე მივწერე ჩვენს მოურავს, ბატონ კვირიკაშვილს, რომ თუ თეა წულუკიანი იქნებოდა კომისიის თავმჯდომარე, მე არ მივიღებდი მის მუშაობაში მონაწილეობას. მოვუწოდებდი მას, რომ კომისია უნდა გადახალისებულიყო. არ დამიჯერეს და ის რვა ადამიანი დატოვეს კომისიაში. ეს არის ფარსი და მიმაჩნია, რომ ჩემი მონაწილეობა უადგილოა.

***– თქვენ გარდა, კომისიის რომელიმე წევრი თუ ემიჯნება სხდომას?***

– მე ვიცი ანა ნაცვლიშვილის პოზიცია, რომ არც ის გეგმავს ამ ფარსში მონაწილეობას. დადგნენ წულუკიანი და კვირიკაშვილი და ჩაატარონ სამთავრობო კომისიის სხდომა ჩვენ გარეშე. ერთად შეთანხმდნენ, ვის რა ქულები უნდა დაუწერონ.

კონკურსში მონაწილეობს პროფესორი კორკელია, რომელსაც რვა წევრიდან ხუთმა ერთიანი დაუწერა! კაცი არის პროფესორი, დაწერილი აქვს უფრო მეტი წიგნი ადამიანის უფლებებზე, ვიდრე ამ კომისიის წევრებს ერთად აღებულს აქვთ წაკითხული! მისი წიგნებით ევროპის უნივერსიტეტებში ასწავლიან სტუდენტებს. ასეთ კაცს დაუწერეს ხუთი ერთიანი!

***– იცით მათი გვარები, ვინც ასეთი დაბალი ქულები დაწერა?***

– კანონით ჩვენ ვერ გავიგებთ იმ ადამიანების გვარებს, თუ ვინ დაწერა ასეთი დაბალი ქულები, ეს დახურული პროცესია, აკრძალეს ამის გასაჯაროება. არასამთავრობო სექტორიდან მე ვიყავი, უჩა ნანუაშვილი, ანა ნაცვლიშვილი და როდესაც ჩვენ ვთქვით ერთმანეთში, რა ქულებიც დავწერეთ, აღმოჩნდა, რომ ჩვენ არ დაგვიწერია ერთიანები, პირიქით, ჩვენ უმაღლესი შეფასება – ხუთები დავწერეთ, ხოლო ერთიანები დაწერეს სამთავრობო კომისიის წევრებმა.

***– ანუ პროფესიონალი კადრები არ უნდათ?***

– დიახ, ასეა. როგორც ჩანს, ასეთი ღირსეული ადამიანები მათთვის მიუღებელია და ცდილობენ, მაქსიმალურად დაბალი ქულები დაწერონ, რათა ეს ადამიანები მეორე ტურში ვერ მოხვდნენ.

***– ახალი სიის მიხედვით, ვის აქვს წარმატების შანსი?***

– კონსტანტინე კორკელიასა და ნინო ბაქაქურს, რომლებსაც მე 5-5 ქულა დავუწერე, რომლებიც ყველაზე ღირსეულები არიან, არანაირი შანსი არ აქვთ. ეს თუ ერთიანი გადაწყვეტილება არ იყო, მაშინ სააპელაციო სასამართლოს მოსამართლემ და უზენაესი სასამართლოს მოსამართლემ ბაქაქურს რატომ დაუწერეს ასეთი დაბალი ქულები?! როგორ შეიძლება, ამ ფარსში მონაწილეობა მიიღო! ეს ინფორმაცია მე ჟურნალისტებისთვის გავასაჯაროე. ეს არის კონფიდენციალური მასალები და ეს ყველაფერი თქვენთვის ხელმიუწვდომელია. მე მოვითხოვე ეს ქულები და შემდეგ, როგორც კომისიის წევრმა, ამოვბეჭდე და გავასაჯაროე.

***– ვინ მონაწილეობს შესარჩევ კონკურსში, კორკელიასა და ბაქაქურის გარდა?***

– იოსებ ბაჩიაშვილი, ლალი ფაფიაშვილი, კონსტანტინე ვარძელაშვილი, ოთარ სიჭინავა, ირაკლი ადეიშვილი, თამარ ალანია, ლუიზა ხითარიშვილი და ნინო ბაქაქური. აქედან ხუთი გადავა მეორე ტურში. მე დარწმუნებული ვარ, რომ კომისიის თავმჯდომარე თეა წულუკიანი წინასწარ მართავს კონსულტაციებს კომისიის სამთავრობო წევრებთან.

***– ამ ეჭვის საფუძველს რა გაძლევთ?***

– სხვანაირად როგორ ავხსნათ, რომ ყველა ის კანდიდატი, რომლებიც მიუღებელია ხელისუფლებისთვის, ერთიანს იღებს. წინასწარი შეთანხმების გარეშე ეს ხომ წარმოუდგენელია?!

ჩვენ, არასამთავრობოებმა, ყველაფერი გავაკეთეთ, რომ საქართველოდან ყოფილიყო ღირსეული კანდიდატი. მე მომიწია შიმშილობა, აქციების ჩატარება სტრასბურში, მაგრამ მუდმივად ორი-სამი ადამიანი ვიბრძვით ამის წინააღმდეგ, დანარჩენები კი შორიდან გვიყურებენ და ეს კარგი არ არის.

***– ანუ სხვებსაც მოუწოდებთ, შემოგიერთდნენ ამ პროტესტში?***

– მე მოვუწოდე სახალხო დამცველს, რომ არც ის მისულიყო სხდომაზე. წულუკიანმა და იმ რვა ადამიანმა მიიღონ გადაწყვეტილება, ჩვენ გარეშე!

***– არ გამორიცხავთ, რომ მესამე სექტორი მთლიანად განუდგეს ამ პროცესს?***

– რად უნდა ამას ბევრი ფიქრი, უნდა განუდგეს, აბა, რა უნდა ქნას. ეს არის მტკიცებულებები, რასაც მე ვაქვეყნებ, რომ რვა წევრიდან შვიდი წერს ერთიანს.

***– ამ ეტაპზე ვისი გაყვანა იგეგმება, რა ინფორმაცია გაქვთ?***

– არ ვიცი, რა გადაწყვეტილებას მიიღებენ. ყოველ შემთხვევაში, კონსტანტინე კორკელია და ნინო ბაქაქური ვერ მოხვდებიან. არადა, ესენი იყვნენ ყველაზე კარგები წინა კონკურსზე, ლადო ჭანტურიასთან ერთად. მე სამივე მათგანს ხუთი ქულა დავუწერე.

თუ სამთავრობო სტრუქტურებიც ასე იაზროვნებდნენ, მაშინ სიას არ მოგვიბრუნებდნენ. წულუკიანმა და კვირიკაშვილმა იმ დონეზე მოსჭრეს საქართველოს თავი, რომ ჯერ ასეთი შემთხვევა არ ყოფილა, ორჯერ სია არცერთ სახელმწიფოს არ მობრუნებია! ეს არის ქვეყნის სირცხვილი! ბანანის რესპუბლიკას დაგვამსგავსეს. მე ამ პროცესს ვემიჯნები!

## ანატოლი ბიბილოვი: „სამხრეთ ოსეთს“ საქართველოსთან მშვიდობიანი ცხოვრება სურს“



„სამხრეთ ოსეთის“ დე ფაქტო პრეზიდენტის, ანატოლი ბიბილოვის განცხადებით, საქართველოსთან მშვიდობიანი ცხოვრება სურს.

– ჩვენ მომავალშიც აქტიურად ვიმუშავებთ იმაზე, რომ „სამხრეთ ოსეთი“ მუდმივად იყოს წარმოდგენილი საერთაშორისო დღის წესრიგში. ამავდროულად, ჩვენ კავშირებს დავამყარებთ, რამდენადაც ეს შესაძლებელია, იმ ქვეყნებთან, რომლებიც გაერო-ში არიან წარმოდგენილნი. ჩვენ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რათა საერთაშორისო თანამეგობრობამ გაიგოს, რომ „სამხრეთ ოსეთი“ დამოუკიდებელი სახელმწიფოა, რომელიც დღეს ვითარდება და რომელსაც სურს ყველასთან მშვიდობიანი ცხოვრება, მათ შორის საქართველოსთან. საბოლოო ჯამში, ეს სხვა სახელმწიფოების მიერ „სამხრეთ ოსეთის“ აღიარებამდე მიგვიყვანს. ამაში დარწმუნებული ვარ, – აღნიშნა ანატოლი ბიბილოვმა.

ის ასევე შეეხო ოკუპირებული „სამხრეთ ოსეთის“ ტერიტორიის გავლით ამიერკავკასიის სატრანსპორტო კორიდორის შექმნის საკითხს.

– რაც შეეხება ამ პროექტს, რომლის ინიციატივითაც მე გამოვედი, ჩვენ ამ პროექტში მხოლოდ თანასწორუფლებიანი პარტნიორების რანგში მივიღებთ მონაწილეობას. არ ვაპირებთ მეორეხარისხოვანი როლის თამაშს. სამწუხაროდ, დღეს საქართველო ამისთვის მზად არ არის. ჩვენ დაველოდებით იმ დროს, როცა საქართველო გაიაზრებს შექმნილ რეალობას და მზად იქნება თანაბარუფლებიანი დიალოგისთვის. „სამხრეთ ოსეთი“ ყოველთვის მზად არის ამ საკითხზე მოლაპარაკებები აწარმოოს, – დასძინა მან.

# გია გვაზავა: „აფხაზეთს საქართველოდან გამოყოფის უფლება არ უნდა ჰქონდეს“

დასაწყისი მე-3 გვერდზე

***– ჩვენც ვიცდით. ყველაზე მეტად, ალბათ, დევნილი მოსახლეობაა დაბრუნების მოლოდინში. წარმომიდგენია, როგორ განიცდით თქვენც და დევნილი მოსახლეობაც ამის გამო.***

– მე აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი ერთნაირად მტკივა. რა თქმა უნდა, აფხაზეთში და სოხუმში მეტი ფესვი მაქვს. მამაჩემი ბებიის, ბაბუის საფლავები იქ არის და შეიძლება მეტად განვიცდი, მაგრამ სინამდვილეში ყველა ქართველისთვის ყველა კუთხე ერთნაირი ტკივილია.

***– 25 წელია ვიცდით, მოლოდინი როგორია?***

– ღმერთმა ნუ ქნას, იმედი არ იყოს. ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისათვის, რომ დაბრუნების იმედი არ ჩაქრეს. ჩვენი დედაქალაქი, თბილისი, 300 წელი არ იყო ქართველების ხელში, მაგრამ დაიბრუნეს. ღმერთმა ნუ ქნას, 300 წელი გავიდეს აფხაზეთის დაბრუნებამდე. ტერიტორიები დაგვიკარგია და დაგვიბრუნებია. თუმცა, ბოლო საუკუნეებში უფრო მეტ ტერიტორიას ვკარგავთ, ვიდრე ვიბრუნებთ.

***– ყველა ადამიანს, აფხაზეთიდან დევნილს და, მით უმეტეს, პოლიტიკოსს, აფხაზეთში დაბრუნების თავისი კონცეფცია აქვს. თქვენ არ გაქვთ თქვენი კონცეფცია?***

– როგორ არა, ჩვენ გაკეთებული გვაქვს ახალი კონსტიტუციის პროექტი, როგორი უნდა იყოს აფხაზების მიმართ. ჩვენი კონცეფცია საქართველოს კონსტიტუციაში რომ ჩაიწეროს, ამაზე ვმუშაობთ და ძალიან მოკლე ხანში გამოვაქვეყნებთ.

***– საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილებების პროექტზე მუშაობის პროცესში არ ხართ ჩართული?***

– ჩვენც ვმონაწილეობთ კონსტიტუციის პროექტის შემუშავებაში, საკონსტიტუციო კომისიის წევრები ვართ.

***– რაიმე ცვლილება შევიდა კონსტიტუციაში თქვენი შეთავაზებით?***

– დიახ, რაღაც საკითხები ჩაიწერა ჩვენი შეთავაზებით. სიტუაციიდან გამომდინარე, ბევრი ცვლილების შეტანა შეუძლებელია. ჯერ ბევრს ვერაფერს ვწერთ. ჩვენ გამოვაქვეყნებთ აფხაზეთის მთლიან კონსტიტუციის პროექტს, როცა მზად გვექნება. ამაზე ვმუშაობთ.

***– ჩვენ რის შეთავაზება შეგვიძლია აფხაზებისთვის, წინასწარ ხომ ვიცით.***

– ჩვენ აფხაზებისთვის ბევრი რამის შეთავაზება შეგვიძლია. ყველაფრის შეთავაზება შეიძლება რეცესიის (გამოყოფის) გარდა. საქართველოდან გამოყოფის უფლება არ უნდა ჰქონდეთ. გარდა რეცესიისა, ბევრი უფლებამოსილების დელეგირება შეიძლება რეგიონში. კომუნისტების პერიოდში ბევრი უფლება ჰქონდათ, მაგრამ ახლა კიდევ მეტი უფლების მიცემა შეიძლება.

***– ხომ არ სჯობს, ახლავე შევიტანოთ კონსტიტუციაში, რასაც ვთავაზობთ?***

– არა, კონსტიტუციაში ჯერ ვერ ჩაწერ, რადგან ორივე მხარის, შეთავაზების საგანი უნდა იყოს. როცა დავსხდებით მოლაპარაკების მაგიდასთან, მაშინ უნდა შევთავაზოთ. მოლაპარაკებისთვის უნდა გვქონდეს მზად.

***– როდის შეიძლება მოხდეს ეს?***

– როცა დაბრუნების საკითხი დადგება.



***– რამდენად სანდო პარტნიორია რუსეთი? ჩვენთან არიან ისეთი პოლიტიკოსები, რომლებიც აცხადებენ, რომ დასავლეთთან მჭიდრო ურთიერთობებზე უარი უნდა ვთქვათ და რუსეთს უნდა მივენდოთ.***

– ერთ ხელშეკრულებას თუ დამისახელებთ, რომელიც 200 წლის განმავლობაში რუსეთმა არ დაარღვია, მაშინ ხელებს ავწევ.

***– სხვათა შორის, ახლა ბორჯომში ცეცხლი რომ მძვინვარებს, რუსეთმა, ერთი მხრივ, დახმარება შემოგვთავაზა, მეორე მხრივ, ცხინვალის რეგიონში, ორჭოსანთან ისვრის და ცეცხლიც კი გააჩინა. ეს რა პოლიტიკაა?***

– რუსეთი არის ძალისმიერი სახელმწიფო, რომელსაც თუ შეუძლია, უნდა დაგარტყას. ეს არის მისი მთავარი პოლიტიკა.

***– საქართველოს ხელისუფლება რუსეთის დახმარებას რომ დათანხმებულიყო, როგორ წარმოგიდგენიათ რუსეთის დახმარების პროცესი?***

– არ ვიცი. ღვთის წყალობით, მეგობრები კიდევ გაგვაჩნია და გვეხმარებიან.

***– ცხინვალიდან და სოხუმიდან ხომ არ აფრინდებოდნენ თვითმფრინავები დასახმარებლად?***

– არა მგონია. ცეცხლის ჩასაქრობად სპეციალური ტექნიკაა საჭირო.

# პაატა ტრაპაიძე: „ბევრი კომპანია გაერთიანდება“

– ინფრასტრუქტურული კომპანიებისთვის დაგეგმილი რეგულაცია ბევრ კომპანიას გაერთიანებისკენ უბიძგებს, რაც დადებითი შედეგის მომტანი იქნება, – ასე ეხმაურება მსხვილი ინფრასტრუქტურული პროექტების განმახორციელებელი კომპანია კავკაზუს როუდ პროჯექტის ხელმძღვანელი პაატა ტრაპაიძე 1-ლი ოქტომბრიდან ასამოქმედებელ ახალ რეგულაციებს, რომლებიც ინფრასტრუქტურულ ტენდერებში მონაწილე კომპანიებზე გავრცელდება.

როგორც ცნობილია, ინფრასტრუქტურულ ტენდერში მონაწილეობისთვის კომპანიებს ბოლო 1 წლის აუდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას მოსთხოვენ.

ტრაპაიძის განცხადებით, სახელმწიფოს ეს გადაწყვეტილება არის ძალიან დადებითი და სწორი ნაბიჯი იმისთვის, რომ გამოიკვეთოს რომელ კომპანიას რა ფინანსური მდგომარეობა აქვს და ბაზარი გააჯანსაღოს. მისი შეფასებით, დღეს კომპანიებმა ოღონდ თავი გადაირჩინონ და ისეთ შეკვეთებს იღებენ, რომელსაც შემდეგ ვერ ასრულებენ. ამის შედეგად, ძალიან ბევრი პროექტი ჭიანურდება და არ გრძელდება. როგორც ტრაპაიძე განმარტავს, პროექტებს ძირითადად ისეთი კომპანიები ასრულებენ, რომლებსაც ფი-



ნანსურად ძლიერი პოზიციები აქვთ.

კითხვაზე, რა შედეგს შეიძლება ველოდოთ ამ ცვლილებით, ტრაპაიძე განმარტავს, რომ მთავრობის მიერ გადადგმული ეს ნაბიჯი ბაზარზე გარკვეული სახის გადაადგილებებსა და ცვლილებებს გამოიწვევს. მისი თქმით, პატარა კომპანიები ყოველთვის ემსახურებიან დიდ კომპანიებს, როგორც კონტრაქტორები, ხოლო დიდი კომპანიები ყოველთვის დიდ შეკვეთებს იღებენ.

– გამსხვილებაში ცუდი არაფერი არ არის. დაგეგმილი რეგულაცია ბევრ კომპანიას გაერთიანებისკენ უბიძგებს, რაც დადებითი შედეგის მომტანი იქნება. ქვეყანაში ყველაზე დიდი პრობლემა მენეჯმენტია. ჩვენთან ამდენი მენეჯერი საჭირო არ არის. ამიტომ, სჯობს ერთი იყოს თავში და ბევრ კომპანიას ხელმძღვანელობდეს, ვიდრე პატარა კომპანიებმა სისულელეები აკეთონ, – აცხადებს ტრაპაიძე.

მისი შეფასებით, დღევანდელმა მთავრობამ აღიარა სფეროში, კონკრეტულად კი ამ მხრივ არსებული პრობლემები და მისი გამოსწორების გზა დაინახა. ტრაპაიძის მტკიცებით, თუ საერთაშორისო გამოცდილებას გადავხედავთ, ვნახავთ, რომ მსოფლიოს თითქმის ყველა განვითარებულ ქვეყანაში მსგავსი მიდგომები არსებობს.

როგორც ცნობილია, ახალი საკვალიფიკაციო მოთხოვნა ქართული კომპანიებისთვის სავალდებულო 1-ლი ოქტომბრიდან გახდება და ყველა იმ ტენდერზე გავრცელდება, რომელსაც რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტრო, ან მის სისტემაში შემავალი სტრუქტურები გამოაცხადებენ და რომლის სავარაუდო ღირებულება 1 მილიონ ლარზე მეტი იქნება.

გარდა ამისა, საქართველოს რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტროს და მის სისტემაში შემავალი და მართვაში არსებული სუბიექტების მიერ 2017 წლის 1-ლი ოქტომბრის შემდეგ სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვებისათვის გამოცხადებულ ყველა ტენდერში, რომლის სავარაუდო ღირებულება აღემატება 1.000.000 ლარს, მონაწილე სამშენებლო სამუშაოების მწარმოებელი საზღვარგარეთ რეგისტრირებული მიმწოდებლების მიმართ ერთ-ერთი სავალდებულო საკვალიფიკაციო მოთხოვნა იქნება ბოლო ორი წლის აუდირებული ფინანსური ანგარიშგება. ამასთან, ფინანსური ანგარიშგების აუდიტი ჩატარებული უნდა იყოს: იმ საერთაშორისო აუდიტური გაერთიანების წევრი კომპანიის მიერ, რომელსაც საქართველოში ჰყავს წევრი, წარმომადგენლობა ან ფილიალი და ეს უკანასკნელი რეგისტრირებულია საზოგადოებრივი დაინტერესების პირის (სდპ) ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ჩატარების უფლებამოსილი აუდიტორული ფირმების რეესტრში ან რომელსაც დაკმაყოფილებული აქვს ხარისხის კონტროლის მონიტორინგის მოთხოვნები.

**კომერსანტი**

# კერძო სექტორმა განათლებაში ინვესტირება დაიწყო




საერთაშორისო და ადგილობრივი კვლევები აჩვენებს, რომ ყველა იმ სექტორში, რომლებიც ვერ ვითარდება, მთავარი პრობლემა კვალიფიციური კადრების ნაკლებობაა. აღმოჩნდა, რომ ბაზრის მოთხოვნებს სრულად ვერ პასუხობს საქართველოში არსებული ადამიანური კაპიტალი. განსაკუთრებული დეფიციტი საინჟინრო, ტექნოლოგიურ და საბუნებისმეტყველო დარგებში იკვეთება, რომლის მიმართაც დიდია ინვესტორებისა და ადგილობრივი ბიზნესის ინტერესი. საერთაშორისო გამოცდილებამ აჩვენა, რომ ამ გამოწვევის გადასაჭრელად მნიშვნელოვანია ბიზნესთან მჭიდრო თანამშრომლობა და მათი მონაწილეობა განათლების სფეროს განვითარებაში, რათა ხელი შეუწყოს დამსაქმებლის მოთხოვნების შესაბამისი კადრების მომზადებას.

ათასწლეულის გამოწვევის ფონდი, ამერიკის შეერთებული შტატებისა და საქართველოს მთავრობის თანამშრომლობით, 2014 წელს სწორედ ამ მისიით შეიქმნა, რომ წაახალისოს საინჟინრო, საბუნებისმეტყველო და ტექნოლოგიური განათლების მიმართულება და ამით ხელი შეუწყოს ქვეყანაში დასაქმების პრობლემის მოგვარებას.

ათასწლეულის გამოწვევის ფონდი, უკვე მესამე წელია, წარმატებით თანამშრომლობს კერძო სექტორთან, რათა ჩამოყალიბდეს მჭიდრო კავშირი დამსაქმებლებსა და სტუდენტებს შორის.

ადგილობრივი და საერთაშორისო კომპანიები წარმატებით თანამშრომლობენ ათასწლეულის გამოწვევის ფონდის პროექტის „პროფესიული განათლება ეკონომიკის განვითარებისთვის“ გრანტით დაფინანსებული კოლეჯებისა და უნივერსიტეტების სასწავლო პროგრამების შექმნაში. ფონდმა 2016 წელს 12 მილიონი აშშ დოლარის გრანტი გასცა 10 პროფესიული განათლების მომწოდებლისთვის და წელს დაიწყება სტუდენტების მიღება ახალ და/ან განახლებულ პროფესიული განათლების პროგრამებზე – სულ 42 პროგრამა. აღსანიშნავია კერძო და საჯარო სექტორის მხრიდან როგორც მონეტარული, ასევე არამონეტარული მხარდაჭერა, რაც განაპირობებს პროგრამების წარმატებას, მდგრადობასა და კურსდამთავრებულებისთვის დასაქმების უზრუნველყოფას.

– კერძო სექტორი ფონდის საგანმანათლებლო პროგრამებში წარმატებით და მაღალი მაჩვენებლით იღებს მონაწილეობას. ბიზნესებს შესაძლებლობას ვაძლევთ, მონაწილეობა მიიღონ სხვადასხვა მიმართულებით. ფონდის უმაღლესი განათლების პროგრამის ფარგლებში, რომელსაც აშშ-ის სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტი ახორციელებს საქართველოში, ჩამოყალიბდა ფორმალური პარტნიორობა დამსაქმებლებთან. ისინი სტუდენტებს სთავაზობენ სტაჟირების პროგრამებს და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, აფინანსებენ მათ უნივერსიტეტში სწავლას.

უპრეცედენტოა ჩვენი ფონდის პროფესიულ განათლების პროექტში განხორციელებული ინვესტიცია. ათასწლეულის გამოწვევის ფონდმა 12 მილიონი აშშ დოლარით დააფინანსა პროფესიული განათლების 10 პროექტი. საგრანტო კონკურსის მოთხოვნების მიხედვით, აუცილებელ ფაქტორს წარმოადგენდა კერძო სექტორის მხრიდან თანადაფინანსების არსებობა. შესაბამისად, აღნიშნულ 10 პროექტს კერძო და საჯარო სექტორების მხრიდან 6 მილიონ აშშ დოლარზე მეტი მხარდაჭერა აქვს. შეიძლება ითქვას, რომ დღეს კერძო სექტორი მზად არის, განათლებაში ჩადოს ინვესტიცია, რათა მისი მოთხოვნების შესაბამისი კადრი მიიღოს და ამით განავითაროს ბიზნესი. შეგვიძლია განვაცხადოთ, ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტები წარმოადგენს კერძო და საჯარო სექტორების პარტნიორობის საუკეთესო მაგალითს, – აცხადებენ ათასწლეულის გამოწვევის ფონდში.

**კომერსანტი**

# ირაკლი პეტრიაშვილი: „გოგა ხაინდრავა უვარგისი სააკაშვილის უვარგისი მინისტრი იყო“



საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანების თავმჯდომარე ირაკლი პეტრიაშვილი გოგა ხაინდრავას პასუხობს.

ირაკლი პეტრიაშვილი გოგა ხაინდრავას „უვარგისი სააკაშვილის უვარგის მინისტრს“ უწოდებს.

– საზოგადოებისთვის, გოგა ხაინდრავას განცხადებით, კიდევ უფრო ნათელი გახდა, თუ რა კლანებთან გვაქვს საქმე, ვის გუნდშია დაჩი ცაგურია და რეალურად რა ხდება რკინიგზაში. სწორედ ასე კლანებად რომ არის დაყოფილი ჩვენი ქვეყნის და სტრატეგიული ობიექტების მმართველობა, იმიტომაცაა ვითარება ამგვარად დამძიმებული.

ვის როგორ ემსახურებოდა გოგა ხაინდრავა, საზოგადოებას ნამდვილად ახსოვს, ის უვარგისი სააკაშვილის უვარგისი მინისტრი იყო. კარგად გვახსოვს მისი მოღვაწეობა დამოუკიდებლობის მოპოვების პერიოდში, მისი „დამსახურებები“ მას შემდეგ, რაც საქართველომ დამოუკიდებლობა მოიპოვა და პირველი პრეზიდენტის წინააღმდეგ განხორციელებული ქმედებებით. საქართველოს ვინ რა ზიანი მიაყენა, საზოგადოებამ კარგად იცის.

გოგა ხაინდრავას უამრავი პირობაც გვახსოვს, მათ შორის ის, რომ საჯარო პოლიტიკით არ იქნებოდა დაკავებული, თუმცა, როგორც ჩანს, მის მფარველებს სავარძლები შეერყათ. ნელ-ნელა ვლინდება, რომ მარტო ცაგურიას არ ექმნება პრობლემა რკინიგზაში განვითარებული მოვლენებით. „პაიკების“ შემდეგ ველოდებით მთავარი იდეოლოგების ასპარეზზე გამოსვლას და ბინძურ თავდასხმებს თავდაცვისათვის.

სწორედ თვითონ გოგა ხაინდრავა და მისი კლანი რომ არიან ძუძუნაჭამი გოჭებივით გატრუნულები და ხრავენ ქვეყნის ეკონომიკასა და რესურსს, რომელიც ხალხს უნდა ხმარდებოდეს – ამით უნდა დაინტერესდნენ შესაბამისი უწყებები, ასევე იმით, ათობით ათასი ლარი რომ იხარჯება სახელმწიფო ბიუჯეტიდან ხაინდრავას ფერმერულ მეურნეობებთან გზების მისაყვანად, მაშინ როდესაც, მოსახლეობა და მათ შორის რკინიგზელები, შიმშილის ზღვარზე არიან.

გვახსოვს „პოლიტიკური ხანძრები“ – ვინ, სად და რა დივერსიებით იყო და არის დაკავებული. ასევე გვახსოვს, რა დასჯდომია ქვეყანას ხაინდრავას გაჩენილი და გაღვივებული „ხანძრები“.

რაც შეეხება პირდაპირი მნიშვნელობით ხანძარს, პროფკავშირები აქტიურად იყვნენ და არიან ჩართულნი ბორჯომის ხეობაში მიმდინარე პროცესებში. სწორედ პროფკავშირებმა, ერთ-ერთმა პირველებმა, გაუკეთეს ორგანიზება პილოტების და მაშველების კვებით და ბინით უზრუნველყოფას, თუმცა ამას ჩვენ, ამ ქვეყნის შვილები, ჩვენს მოვალეობად ვთვლით და არა თავის მოსაწონ საქმედ.

პარადოქსია, მაგრამ გოგა ხაინდრავას ვერ წარმოუდგენია, რომ ტყეში ხანძარი იყოს და ადამიანი მისი უფლებების შელახვის, მისთვის ლუკმაპურის წართმევის გამო შიმშილობდეს, ის კი წარმოუდგენია, რომ რკინიგზელი პეტრიაშვილის დაკვეთით მივიდეს „ნებაყოფლობითი თვითმკვლელობის მცდელობამდე“, დაჯდეს და იშიმშილოს. სწორედ მომხდარის ამ ფორმით მიწოდებას ცდილობენ საზოგადოებისთვის ხაინდრავა და მისი თანამოაზრეები. ანალიზი თქვენთვის მიგვინდია, – აღნიშნულია ირაკლი პეტრიაშვილის განცხადებაში.

# ბიუჯეტში სათამაშო ბიზნესიდან 28.5 მილიონი ლარით მეტი შევიდა



მიმდინარე წლის იანვარ-ივლისში სათამაშო ბიზნესიდან ბიუჯეტში გადახდილი თანხა დაახლოებით 28.5 მილიონი ლარით არის გაზრდილი. კერძოდ, მიმდინარე წლის 1-ელ შვიდ თვეში აღნიშნული საქმიანობიდან მიღებულმა თანხამ 66 მილიონი ლარი შეადგინა, მაშინ როცა 2016 წლის ანალოგიურ პერიოდში ეს ციფრი 37.5 მილიონი ლარი იყო. საანგარიშო პერიოდში მნიშვნელოვნად არის გაზრდილი სისტემურ-ელექტრონული ფორმის თამაშობებიდან მიღებული შემოსავალი. კერძოდ, ამ საქმიანობიდან ბიუჯეტში მიღებულმა თანხამ წელს 10.3 მილიონი ლარი შეადგინა, წინა წლის იანვარ-ივლისში კი ეს მაჩვენებელი 1.4 მილიონი ლარი იყო. ასევე გაზრდილია სათამაშო აპარატებიდან ბიუჯეტში შესული შემოსავლები, რამაც 2017 წლის 1-ელ შვიდ თვეში 36,9 მილიონი ლარი შეადგინა, წინა წლის ამავე პერიოდში კი 23.7 მილიონი ლარი იყო.

გაზრდილია ბიუჯეტში კლუბის მაგიდიდან მიღებული შემოსავალიც. კერძოდ, წელს ამ მაჩვენებელმა 314 ათასი ლარი შეადგინა, 2016 წლის საანგარიშო პერიოდში კი 139 ათასი ლარი იყო. სამორინეს მაგიდიდან მიღებული შემოსავლები კი 5.1 მილიონი ლარით არის გაზრდილი. კერძოდ, გასულ თვეებში სფეროდან მიღებულმა შემოსავალმა 15,7 მილიონი ლარი შეადგინა, ხოლო წინა წლის ამავე პერიოდში 10.6 მილიონი ლარი იყო. ამასთან, ტოტალიზატორის, ბინგოს, ლოტოს სალაროებიდან მიღებულმა შემოსავალმა 2017 წლის 1-ლ შვიდ თვეში 2.320 ლარი შეადგინა, მაშინ როცა გასული წლის ამავე პერიოდში 1.739 ლარი იყო.

**ბიპიენი**

# ბორჯომის ხეობაში ადამიანების ნაწილი ბრაკონიერობასა და ხეების მოჭრას აგრძელებს



ბორჯომის ხეობაში გამოვლინდა ბრაკონიერების მიერ ხე-ტყის უკანონო ჭრები. ამის შესახებ გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრმა გიგლა აგულაშვილმა ჟურნალისტებს განუცხადა.

მისი თქმით, აღნიშნული შემთხვევები სავარაუდოდ, მიმდებარე სოფლების მცხოვრებლების მიერ არის განხორციელებული.

– ჩვენმა თანამშრომლებმა გამოავლინეს არაერთი ადამიანი, სამწუხაროდ, კანონი არ მაძლევს მათი დასახელების უფლებას. ესენი არიან მეზობელ სოფლებში მცხოვრები ადამიანები, მაგრამ მოვა დრო, როცა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის ფაქტს სასამართლო დაადგენს და მათ დააჯარიმებს. ამის შემდეგ შევძლებთ, რომ ამ ადამიანების ვინაობა ყველამ გაიგოს. უდიდესი კონსოლიდირება მოხდა, რომ ეს სტიქიური უბედურება ჩავაქროთ და ადამიანების ცალკეული ნაწილი აგრძელებს ბრაკონიერობას, ჭრიან უკანონოდ ხეებს და ამუშავებენ მათ, – განაცხადა აგულაშვილმა.

**ბიპიენი**

# მონოპოლიზაცია და კორუფციის რისკი – რა ბედი ელის საქართველოში მეფრინველეობის დარგს?



„მთავრობა ადგილობრივ წარმოებაზე არ ფიქრობს“ – ასე აფასებენ მეფრინველეობის დარგის წარმომადგენლები იმ ცვლილებას, რომელიც 24 აგვისტოდან ამოქმედდა და, რომლის თანახმადაც, მწარმოებელს ვეტერინარული შემოწმებისთვის 1 ფრთა ფრინველზე (ტანხორცზე) 5 თეთრის გადახდა მოუწევს. „მომავლის ფერმერის“ თავმჯდომარე რუსუდან გიგაშვილი „ბიზნესპრესნიუსთან“ საუბრისას მნიშვნელოვან პრობლემად ქვეყანაში ფრინველების სასაკლაოების არ არსებობას ასახელებს და მიიჩნევს, რომ აღნიშნული ცვლილება დარგის მონოპოლიზაციას გამოიწვევს.

– საუბარია ფორმა 2-ზე, რაც სასაკლაოზე დაკვლის წინა და დაკვლის შემდგომ ვეტერინარულ დათვალიერებას გულისხმობს. თუმცა, ქვეყანაში სასაკლაოები არ გვაქვს და მეწარმეთა 25-30% ბაზარზე სასაკლაოს გვერდის ავლით ოპერირებს. შესაბამისად, ბუნდოვანია სამიზნე ჯგუფი თუ ვისთვის შემოიღეს რეგულაცია. დაახლოებით, 15-20 ათასის ფარგლებშია იმ მეწარმეთა რიცხვი, რომლებიც ამ საქმიანობას საოჯახო პირობებში ეწევიან და თავს ირჩენენ. თუმცა, გაურკვეველია სად აღმოჩნდება ეს ხალხი ხვალ. შედეგად მივიღებთ იმას, რომ დარგის მონოპოლიზაციისკენ წავალთ. ბაზარზე 2-3 მეწარმეს შორის მოხდება გადანაწილება და მცირე მწარმოებლებისთვის ადგილი აღარ დარჩება, – აღნიშნა გიგაშვილმა.

მეფრინველეთა ასოციაციის ხელმძღვანელი ზურაბ უჩუმბეგაშვილი კი ამ ცვლილებაში კორუფციულ რისკებს ხედავს და მიიჩნევს, რომ მთავრობა ადგილობრივ წარმოებაზე არ ფიქრობს.

– კორუფციის სერიოზული რისკია. ვქირაობ სახელმწიფო მოხელეს, რომელიც ჩემთან უნდა იჯდეს და შემამოწმოს. იდიოტიზმი არ არის?! ამასთან, ახალი რეგულირება რომ შემოდის, ხომ უნდა ჩაგვაყენონ საქმის კურსში, – აღნიშნა უჩუმბეგაშვილმა.

**ბიპიენი**

# 6 მსხვილი ქართული კომპანია, რომლებიც გაკოტრდა




კომპანიის გაკოტრებულად გამოცხადება ქართული ბაზრისთვის უკვე კარგა ხანია, უცხო ტერმინი აღარ არის.

გაკოტრებასთან იმ შემთხვევაში გვაქვს საქმე, როდესაც კომპანიის ვალდებულებები მისი აქტივების საბაზრო ღირებულებას მნიშვნელოვნად აჭარბებს. ბოლო წლების განმავლობაში საქართველოში რამდენიმე მსხვილი კომპანია გაკოტრდა. მათ შორის იყვნენ როგორც სადაზღვევო ისე კომერციული თუ საკომუნიკაციო ბაზრის ლიდერები.

სადაზღვევო კომპანია „არქიმედეს გლობალ ჯორჯია“ 2014 წელს გაკოტრდა. კომპანიაში ფინანსური პრობლემები 2013 წლიდან დაიწყო. „არქიმედეს გლობალ ჯორჯიას“ მიერ პროვაიდერი კლინიკებისა და სახელმწიფოს წინაშე დაგროვებული დავალიანების მოცულობა მილიონობით ლარს აჭარბებდა. სახელმწიფო სადაზღვევო პროგრამის ფარგლებში, „არქიმედეს გლობალ ჯორჯიაში“ საქართველოს 300 ათასზე მეტი მოქალაქე იყო დაზღვეული.

პირველი მობილური ოპერატორი საქართველოში გასული საუკუნის 90-იანი წლების შუა პერიოდში გაჩნდა – 1996 წელს ადგილობრივ ბაზარზე მეგაკომი შემოვიდა. კომპანია, რომელიც წლების განმავლობაში დიდი სისწრაფით იზრდებოდა და საკმაოდ მომგებიან ბიზნესს წარმოადგენდა, ჯი ეს ემ-თან კონკურენციაში დამარცხდა და გაკოტრდა.

სუპერმარკეტების პირველი ქსელი საქართველოში, რომელიც 2001 წელს დაარსდა. მაღაზიათა ქსელი საკმაოდ სწრაფად და წარმატებით ვითარდებოდა. „პოპულს“ საქართველოს მასშტაბით ყველაზე დიდი სუპერმარკეტების ქსელი ჰქონდა და 44 სავაჭრო ობიექტს აერთიანებდა. კომპანიაში ფინანსური პრობლემები 2012 წლიდან დაიწყო. სასამართლომ „პოპულის“ დამფუძნებლების მიერ შეტანილი განაცხადი „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ 2013 წელს მიიღო. მალევე კომპანია გაკოტრებულად გამოცხადდა.

სახელმწიფო დაკვეთების შემსრულებელი ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი კომპანია საქართველოში, გაკოტრების რეჟიმზე 2012 წელს გადავიდა. ათეულობით საერთაშორისო ტენდერში გამარჯვებულ კომპანიას სახელმწიფოს წინაშე შეუსრულებელი ვალდებულებები და მილიონობით ლარის დავალიანება დაუგროვდა. კომპანიის საქმიანობით ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახური დაინტერესდა. „ნიუ ენერჯის“ დამფუძნებელი და მფლობელი ბიზნესმენი ლუხუმ კაპანაძე იყო. კომპანიის მიერ შესრულებული ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური პროექტი დევნილთა სახლების მშენებლობა იყო.

კომპანიას ეროვნულმა ბანკმა ფართო მასებიდან თანხების მოზიდვა გასული წლის ოქტომბერში აუკრძალა. საფინანსო კომპანია „საქართველომ“ ბაზარი ათასობით მოტყუებული და დაზარალებული მეანაბრით დატოვა. კომპანიის მიერ შეუსრულებელი ფინანსური ვალდებულებების გამო, თბილისში ფართომასშტაბიანი აქცია რამდენჯერმე გაიმართა. გასულ წელსვე გაკოტრდა კიდევ ერთი საფინანსო კომპანია ემ ეფ იქს ბროკერ ჯორჯია.

ყოფილი ქართული საპროდიუსერო კომპანია. იგი 2002 წელს ჩამოაყალიბა ბადრი პატარკაციშვილმა. კომპანიაში გაწევრიანდნენ მომღერლები, მუსიკოსები, კომპოზიტორები. კომპანიის მოვალეობებში შედიოდა მის ქვეშ გაერთიანებული მუსიკოსებისა და მომღერლების შემოქმედების მართვა, მათი პრომოუშენი-პოპულარიზაცია. არტიმედმა რამდენიმე მასშტაბური პროექტი განახორციელა. კომპანია ქმედითუნარიანი ვერ აღმოჩნდა და 2004 წელს დაიშალა. კომპანიაში უამრავი მომღერალი იყო გაწევრიანებული, რომელთაც უხდიდნენ ყოველთვიურ ფიქსირებულ ხელფასს, ფიჭურ ტელეფონებზე საუბრის გადასახადს და საწვავის ფულს. ამ მომღერლებში ჩადებული თანხიდან კი შემოსავალი მინიმალური იყო, რამაც კომპანიის გაკოტრება გამოიწვია.

# თბილისის რომელ უბანშია ყველაზე ძვირადღირებული სახლები




ბევრს ჰგონია, რომ მილიონებად შეფასებული უძრავი ქონება მხოლოდ პრესტიჟულ კურორტებსა და ცნობილ ქალაქებშია, თუმცა ძვირადღირებულ სახლებს მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში ნახავთ.

გამონაკლისს ამ მხრივ არც საქართველო წარმოადგენს. ინტერნეტპორტალ საქმე.გე-ს დირექტორ ნიკა ჯაფარიძის თქმით, სახლის სიძვირეს მისი ფართობი და კომფორტი განაპირობებს:

– რამდენიმე მილიონად შეფასებული სახლები თბილისშიც არის. ჩვენს ვებგვერდზე ახლაც ნახავთ განცხადებებს, რომელთა ავტორები მყიდველს ძვირადღირებულ საცხოვრებელს სთავაზობენ. მილიონიანი ბინა შეიძლება კორპუსშიც იყოს, თუმცა უმეტესად ეს კერძო სახლებია. როდესაც უძრავი ქონების ფართობი დიდია, ეს მის ფასზეც მოქმედებს და ასეთი საცხოვრებელი ბინა უფრო ძვირიც ღირს. მილიონიანი სახლები უმეტესწილად ძველ უბნებში იყიდება, მაგალითად, აბანოთუბანში არის ახალაშენებული სახლები, რომლებიც 1 მილიონი ღირს. ტრადიციულად, სახლები ვაკეში ყველაზე ძვირი ღირდა, მაგრამ დღეს ყველაზე დიდი მოთხოვნა ძველ უბნებზეა. საბურთალოზეც იყიდება კერძო სახლი, რომელიც 1 მილიონ ლარზე მეტი ღირს. საკმაოდ ძვირია სახლები დიღომში – საშუალოდ, 1-2 მილიონი ლარი. ახლაც, დიღომი-7-ში არის სახლი, რომელიც 2 მილიონ ლარად იყიდება. 2 მილიონზე მეტი ღირს სახლი, რომელიც თბილისის ზღვაზე მდებარეობს, ასეთივე ფასად ყიდიან სამსართულიან, კეთილმოწყობილ სახლს ისანში, მეტროსთან ახლოს. ბაგებშიც იყიდება კერძო სახლი 1 მილიონ 600 ათას ლარად. ძველ უბნებში ასეთი სახლები კიდევ უფრო ძვირად ფასობს. როგორც წესი, ეს სახლები ძალიან კომფორტულია, მათ მფლობელებს ძვირადღირებული რემონტი აქვთ ჩატარებული, ეზოს ფართობიც დიდია, ზოგიერთ ძვირ სახლში არის შიდა და გარე აუზები, ევრორემონტი, კონდიცირების სისტემა და ყველანაირი კომფორტი, რაც 21-ე საუკუნეს შეეფერება, – ამბობს ნიკა ჯაფარიძე.

მისი შეფასებით, თბილისის ახლოს აგარაკებიც საკმაოდ ძვირი ღირს.

– ამჟამად წყნეთში იყიდება სახლი, რომელიც 1 მილიონ 200 ათას ლარი ღირს. იქვე, წყნეთში არის დასახლება, რომელსაც „კაკლები“ ჰქვია. ამ დასახლებაში ყველა სახლი ძვირია. ეს არის 2-3-სართულიანი კომპლექსები, რომლებიც საკმაოდ მაღალი ხარისხით გამოირჩევა. ასევე ძვირი ღირს კეთილმოწყობილი სახლები საგურამოში. სხვათა შორის, თბილისშიც შემოდის ტენდენცია, რომელიც მთელ მსოფლიოში იგრძნობა: შეძლებული ხალხი ქალაქგარეთ, ეკოლოგიურად სუფთა გარემოში ამჯობინებს ცხოვრებას. ბოლო ხანებში კიდევ ერთი ტენდენცია იკვეთება: ის უბნები, რომლებიც ადრე პრესტიჟულად მიიჩნეოდა, ახლა იმდენად პრესტიჟული აღარ არის: იქ იმდენი სახლი ააშენეს, რომ ლამის კორპუსი კორპუსზეა მიდგმული. ბუნებრივია, ასეთ ადგილებში საცხოვრებელი ბინების ფასმაც დაიკლო, – აღნიშნავს ნიკა ჯაფარიძე.

უძრავი ქონების სფეროს ექსპერტი შოთა გუჯაბიძე კი აცხადებს, რომ ზოგჯერ ძვირადღირებული სახლების ფასი არაადეკვატურია:

– ჩვენს დედაქალაქში მართლაც არის ძალიან კარგი, კომფორტული სახლები მთაწმინდაზე, აბანოთუბანში, ვაკეში და სხვა უბნებში, ძვირადღირებული სახლებია წყნეთშიც, მაგრამ ზოგჯერ მათი ფასი რეალობას ვერ ასახავს: ზოგიერთი მფლობელი აჭარბებს და თავის ქონებას ძალიან მაღალ ფასს ადებს. რეალურად, ეს ქონება შეიძლება არც ღირდეს ისე ძვირი, როგორც მეპატრონეს ჰგონია. მილიონად მე შევაფასებდი ძველ თბილისში არსებულ კარგად შემონახულ შენობებს, რომლებსაც ისტორიული მნიშვნელობა აქვს. ბოლო წლებში წამოვიდა ტენდენცია, რომ ბოლო ორ-სამ სართულზე აკეთებენ დუპლექსებს, ტრიპლექსებს, სადაც სრული კომფორტია. ქალაქის ცენტრში, ბოლო სართულებზე არსებული პენტჰაუსებიც ძალიან პრესტიჟულია და ძვირი ღირს. თბილისში არის სახლები, რომლებიც ძვირფასი სამშენებლო მასალით არის აშენებული და გარემონტებული. ასეთ სახლებში რამდენიმე სველი წერტილი, აუზი და ჩოგბურთის კორტებიც კი აქვთ, მაგრამ მათი გაყიდვის მსურველი უფრო მეტია, ვიდრე – ყიდვის, – ამბობს შოთა გუჯაბიძე.

მისი თქმით, მილიონიანი სახლები საქართველოს სხვა ქალაქებშიც არის.

– საკმაოდ ძვირი ღირს უძრავი ქონება ბათუმში, სადაც ბევრი ისტორიული შენობაა, ბოლო წლებში კი რამდენიმე ძვირფასი პენტჰაუსიც ააშენეს. ეს ქონება რამდენიმე მილიონი დოლარი ღირს. ძალიან კარგი ბინებია ამერიკულ დასახლებაში, წყნეთშიც არის რამდენიმე 3-4-სართულიანი სახლი, რომელიც მილიონებად არის შეფასებული, მაგრამ ასეთი სახლები საქართველოში ბევრი არ არის. ჩვენ არც გვყავს იმდენი მილიონერი, რომ ძვირადღირებული სახლები უპრობლემოდ გაიყიდოს, თანაც, ზოგიერთ მათგანს ურჩევნია, საცხოვრებელი თავისი გემოვნების მიხედვით აიშენოს და სასურველი კომფორტი შეიქმნას. ასეა თუ ისე, მილიონიანი ბინის შეძენა საქართველოში ერთეულების პრივილეგიაა, – აღნიშნავს ექსპერტი.

**ბიპიენი**

# ბანკებისა და მიკროსაფინანსოების მიერ დასაკუთრებული ქონება 184,1 მლნ ლარს შეადგენს



2017 წლის 6 თვეში კომერციული ბანკებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მიერ დასაკუთრებული უძრავმოძრავი ქონების მოცულობა ერთად 184.162.483 ლარია, რაც 6,9 მილიონი ლარით მეტია პირველ კვარტალთან შედარებით.

საქართველოს ეროვნული ბანკის ვებგვერდზე განთავსებული კომერციული ბანკების ანგარიშგებებიდან ირკვევა, რომ, მე-2 კვარტლის მონაცემებით, დასაკუთრებული ქონება 168.678.237 ლარს შეადგენს.

ყველაზე დიდი ღირებულების ქონება „საქართველოს ბანკის“ ანგარიშზე ირიცხება. 2017 წლის ორი კვარტლის მონაცემებით, ბანკის მიერ დასაკუთრებული ქონების მოცულობა 70.309.927 ლარს შეადგენს. მეორე ადგილზე – 59.180.573 ლარით არის „თიბისი ბანკი“. სამეულში შედის „ბანკი ქართუ“, რომლის ანგარიშზეც 15.315.928 ლარით დასაკუთრებული უძრავი და მოძრავი ქონება ირიცხება.

რაც შეეხება მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს, სებ-ის სტატისტიკით, 2017 წლის მე-2 კვარტლის მონაცემებით, დასაკუთრებული ქონება 15.484.246 ლარს შეადგენს, რაც 3 მილიონი ლარით მეტია წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით.

2017 წლის პირველი კვარტლის მონაცემებით კი კომერციული ბანკებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მიერ დასაკუთრებული უძრავი და მოძრავი ქონების მოცულობა ერთად 177.230.500 ლარს შეადგენდა, საიდანაც 162.660.940 მოდიოდა კომერციულ ბანკებზე, 14.569.560 – მიკროსაფინანსო ორგანიზაციებზე.

**კომერსანტი**

# დეპოზიტების ლარიზაცია თითქმის 2%-ით გაიზარდა



საქართველოს ეროვნული ბანკის ინფორმაციით, საბანკო სექტორში განთავსებული არასაბანკო დეპოზიტების მოცულობამ 2017 წლის პირველი აგვისტოსათვის 16.9 მლრდ ლარს გადააჭარბა, რაც 97.5 მლნ ლარით ანუ 0.6 პროცენტით მეტია პირველი ივლისისათვის არსებულ მაჩვენებელზე (გაცვლითი კურსის ცვლილების ეფექტის გარეშე 0.8 პროცენტით მეტი).

ივლისში, წინა თვესთან შედარებით, დაფიქსირდა ვადიანი დეპოზიტების ზრდა 302.7 მლნ ლარით ანუ 3.4 პროცენტით (გაცვლითი კურსის ცვლილების ეფექტის გარეშე ეს მაჩვენებელი გაიზარდა 3.6 პროცენტით), ხოლო მოთხოვნამდე დეპოზიტები შემცირდა 205.1 მლნ ლარით, ანუ 2.6 პროცენტით (გაცვლითი კურსის ცვლილების ეფექტის გარეშე შემცირდა 2.5 პროცენტით).

ამასთან, მიმდინარე წლის პირველი აგვისტოსათვის დეპოზიტების ლარიზაციის კოეფიციენტმა 34.49 პროცენტი შეადგინა. პირველი ივლისის მდგომარეობასთან შედარებით, გაცვლითი კურსის ეფექტის გამორიცხვით, დეპოზიტების ლარიზაცია 1.97 პროცენტული პუნქტით გაიზარდა.

ვადიან დეპოზიტებზე საშუალო წლიურმა შეწონილმა საპროცენტო განაკვეთმა 5.3 პროცენტი შეადგინა, მათ შორის ეროვნული ვალუტით განთავსებულ დეპოზიტებზე – 8.3 პროცენტი, ხოლო უცხოური ვალუტით განთავსებულ დეპოზიტებზე – 3.0 პროცენტი.

უცხოური ვალუტით განთავსებულ დეპოზიტებში აშშ დოლარის წილმა 84.8 პროცენტი, ხოლო ევროს წილმა 12.2 პროცენტი შეადგინა.

**კომერსანტი**

# იანვარ-ივლისში მსუბუქი ავტომობილების იმპორტი მცირედით არის გაზრდილი



იანვარ-ივლისში, გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, მსუბუქი ავტომობილების იმპორტი საქართველოში მცირედით არის გაზრდილი.

კერძოდ, ცვლილებამ 43.9 ათასი დოლარი შეადგინა.

საქსტატის მონაცემებით, იანვარ-ივლისში მსუბუქი ავტომობილების იმპორტი 261 მილიონ 297.4 ათასი დოლარი იყო. მაშინ როცა, 2016 წლის ანალოგიურ პერიოდში იმპორტმა 261 მილიონი 253.5 ათასი დოლარი შეადგინა.

შეგახსენებთ, რომ 2017 წლის იანვრიდან „საგადასახადო კოდექსში“ შესული ცვლილებების თანახმად, მსუბუქ ავტომობილებზე აქციზის გადასახადი გაიზარდა, მარჯვენასაჭიანების შემთხვევაში გასამმაგდა, ჰიბრიდული ავტომობილების შემთხვევაში კი შემცირდა.

**ბიპიენი**

# მატისი პოროშენკოს შეხვდა



აშშ-ის თავდაცვის მინისტრი ჯეიმს მატისი უკრაინის დამოუკიდებლობის დღეს სამხედრო აღლუმს დაესწრო. შემდეგ პოროშენკო და მატისი ერთმანეთს დახურული კარის მიღმა შეხვდნენ. მოლაპარაკების ძირითადი თემა აშშ-უკრაინის სამხედრო თანამშრომლობა იყო.

პრესკონფერენციაზე მატისმა განაცხადა, რომ ვაშინგტონი მზადაა, უკრაინის დასახმარებლად კონკრეტული ნაბიჯები გადადგას. კერძოდ, აშშ უკრაინას 176 მილიონი დოლარის სამხედრო აღჭურვილობას გადასცემს.

— ლეტალურ იარაღს როდის გადმოგვცემთ? – გაისმა დარბაზიდან.

— ეს საკითხი განხილვის სტადიაშია, – მიუგო მატისმა.

მან საზოგადოებას აგრძნობინა, რომ უკრაინისთვის ლეტალური იარაღის გადაცემას მხარს უჭერს.

— აშშ-ში დაბრუნებისთანავე ბატონ ტრამპს მოვახსენებ, რაც აქ, უკრაინაში, ვიხილე. თქვენ სამხედრო აღმშენებლობაში მართლაც უდიდესი მიღწევები გაქვთ. პრეზიდენტს წარვუდგენ რიგ პროექტს, რაც აშშ-უკრაინის სამხედრო თანამშრომლობის განმტკიცებას ითვალისწინებს, – თქვა მატისმა.

აშშ-ის თავდაცვის მინისტრმა ხაზი გაუსვა, რომ ვაშინგტონი ყველაფერს იღონებს საიმისოდ, რათა დონბასის პრობლემა მშვიდობიანად გადაწყდეს. მან აღნიშნა, რომ მინსკის შეთანხმებებს რუსეთი არღვევს, პასუხისმგებლობაც რუსეთს ეკისრება. მატისმა არც ყირიმი დაივიწყა.

— აშშ ყირიმის ანექსიას არასოდეს აღიარებს, – თქვა მან.



უკრაინის ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი ბორის ტარასიუკი მიიჩნევს, რომ მატისის ჩამოსვლით უკრაინა-აშშ-ის სამხედრო თანამშრომლობა გაფართოვდება.

„ნეზავისიმაია გაზეტა“, თავის მხრივ, აღნიშნავს, რომ აშშ-ის მიერ უკრაინისათვის ლეტალური იარაღის მიწოდების საკითხი ჯერ არ არის გადაწყვეტილი. გაზეთი ეჭვს გამოთქვამს, რომ ეს მოხდება, თუმცა აღიარებს:

— რუსული დიპლომატიის მცდელობა, უკრაინა საერთაშორისო იზოლაციაში მოექცია, წარუმატებელი აღმოჩნდა.

# კორეას რუსულმა ბომბდამშენებმა გადაუფრინეს



კორეის ნახევარკუნძულს რუსულმა სტრატეგიულმა ბომბდამშენებმა გადაუფრინეს.

აშშ-ისა და სამხრეთ კორეის თვითმფრინავები ცაში აფრინდნენ, რათა რუსებისათვის თვალყური ედევნებინათ.

— ჩვენი თვითმფრინავები დაზვერვით მისიას ასრულებდნენ, – აცხადებენ რუსეთის თავდაცვის სამინისტროში.

# ქაბულში მეჩეთს თავს დაესხნენ



ავღანეთის დედაქალაქ ქაბულში მდებარე ერთ-ერთ მეჩეთზე თავდასხმა მოხდა.

თვითმხილველების თქმით, იმამ ზამანის მეჩეთის ტერიტორიაზე აფეთქებასა და სროლას ჰქონდა ადგილი.

თავდასხმის შემდეგ პოლიციამ მეჩეთის მიმდებარე ტერიტორია გადაკეტა. ჩატარდა სპეცოპერაცია.

როგორც ავღანეთის შს სამინისტროს წარმომადგენელმა განაცხადა, თავდასხმა სამმა ან ოთხმა პირმა განახორციელა. ერთ-ერთმა მათგანმა თავი აიფეთქა.

# ბაქო: სააგენტო „თურანის“ დირექტორი დააპატიმრეს



ბაქოში დამოუკიდებელი საინფორმაციო სააგენტო „თურანის“ დირექტორი ალიევი დააპატიმრეს. მას ბრალად ედება გადასახადებისგან თავის არიდება.

ამჟამად ალიევი ბაქოს მილიციის რაიონული განყოფილების ერთ-ერთ საკანშია მოთავსებული. 48 საათის განმავლობაში გაიმართება სასამართლო, რომელიც მის შემდგომ ბედს განსაზღვრავს.

ორგანიზაციამ „რეპორტიორები საზღვრის გარეშე“ და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებმა ალიევის დაპატიმრების გამო პროტესტი გამოთქვეს.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა** მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ნანა ნადარეიშვილი:** მაწუხებდა დისბაქტერიოზი, პარალელურად დამეწყო თმის ცვენა, მივმართე ქალბატონ ლამარას, ჩავიტარე მკურნალობა მისი მითითებით. ორ კვირაში მქონდა იდეალური შედეგი.

**ხვიჩა გოგია:** კანზე მქონდა გამონაყარი, ქალბატონი ლამარას დამზადებული სითხეებით ორგანიზმი გავიწმინდე, ვიყენებდი მისივე დამზადებულ მალამოებს, შედეგი მაქვს. დიდი მადლობა ქალბატონ ლამარას.

**მზია დუნდუა:** მქონდა ქალური პრობლემები, მივაკითხე ქალბატონ ლამარას და ვარ უკვე გამოჯანმრთელებული. დღესაც ვაგრძელებ მკურნალობას მისი მითითებით.

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**
**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

# ისლამისტები ესპანეთს ისევ ემუქრებიან

## რატომ ჩატარდა ინგუშეთში ანტიტერორისტული ოპერაცია





მარიამ მჭედლიშვილი

ისლამური სახელმწიფო ესპანეთში ახალი ტერაქტებით იმუქრება. მუქარის შემცველი ვიდეოს შინაარსი ესპანურმა „ელ მუნდომ“ გაავრცელა.

ჯიჰადისტების მხრიდან ახალი ანგარიშსწორების გეგმები ბარსელონაში სისხლიანი ტერაქტის მომწყობების დაკავებას არ უკავშირდება.

ისინი მოითხოვენ, რომ ესპანეთი გამოვიდეს ანტიტერორისტული საერთაშორისო კოალიციიდან, რომელსაც აშშ ხელმძღვანელობს.

— თუ ესპანეთი კოალიციიდან არ გამოვა, მოსვენებას არ მოგცემთ, – იმუქრებიან რადიკალი ისლამისტები.

ისინი ესპანეთს წარსულსაც უხსენებენ:

— ესპანელო ქრისტიანებო, ნუ დაგავიწყდებათ ესპანური ინკვიზიციის დროს დაღვრილი მუსლიმანების სისხლი.

ბარსელონის ცენტრში მომხდარ ტერორისტულ აქტს 14 კაცი შეეწირა, ასზე მეტი ადამიანი დაშავდა.

ამ დღეებში გრძელდებოდა ოპერაციები სირიიდან და ერაყიდან ისლამური სახელმწიფოს წინააღმდეგ. ტერორისტებს ახლო აღმოსავლეთში, საერთაშორისო კოალიციის გარდა, ებრძვიან რუსეთი და სირიისა და ერაყის ჯარები.

ტერორისტების ნაწილმა ადგილსამყოფელი შეიცვალა.

დასავლური მედიის ცნობით, 500-მდე ჯიჰადისტი უკრაინაში იმყოფება. უკრაინას ისინი განიხილავენ მარშრუტად ევროპაში გადასასვლელად.

ამ დღეებში ისლამისტებს ინგუშეთშიც ებრძოდნენ. ინგუშეთის მაგკობეკის რაიონის დაბა ფსედახში ჩატარდა კონტრტერორისტული ოპერაცია, რომლის დროსაც ძალოვნებმა ოთხი „ბოევიკი“ გაანადგურეს. არსებული ინფორმაციით, ჯიჰადისტები დიდ ტერაქტს ამზადებდნენ.

ფსედახის ერთ-ერთი სახლის სარდაფში აღმოაჩინეს ჯიჰადისტების იარაღის საწყობი და ასაფეთქებელი მოწყობილობების დამამზადებელი სახელოსნო.

კონტრტერორისტულ ოპერაციას წინ უძღოდა შეიარაღებული ინციდენტები: პოლიციის საგუშაგოზე თავდასხმა, რომლის შედეგად პოლიციელი დაიჭრა, თავდამსხმელები კი სამართალდამცავებმა დახოცეს; ტერორისტებმა სროლა აუტეხეს სამაშველო სამსახურის მუშაკს, რომელიც საკუთარ ძმას მოუწოდებდა, თავი დაენებებინა ტერორისტული საქმიანობისთვის; იყო ყუმბარის აფეთქების რამდენიმე ფაქტი.

ინგუშეთისა და ჩრდილოეთ კავკასიის სხვა რესპუბლიკების წარმომადგენლები ისევ იბრძვიან ახლო აღმოსავლეთში ისლამური სახელმწიფოს მხარეს. ცოტა ხნის წინ 5 ინგუში მშვიდობიან ცხოვრებას დაუბრუნდა. ასეთ შემთხვევაში „ბოევიკებს“ არ სჯიან. ინგუშეთში რამდენიმე წელია, მოქმედებს კომისია, რომელიც ყოფილ ტერორისტებსა და ექსტრემისტებს ნორმალურ პირობებთან ადაპტაციაში ეხმარება.

ახალ ტერაქტებს ელიან რუსეთის მთელ ტერიტორიაზე, მათ შორის, ციმბირში.

სურგუტის ტერაქტის გამო დააკავეს ათამდე პირი, ორ მათგანს ბრალი წაუყენეს ტერაქტის ხელშეწყობაში. ორივე მათგანი წარმოშობით დაღესტნიდანაა.

ძალოვნების მიერ ტერორისტული აქტის დროს მოკლული 19 წლის ტერორისტი არტურ გაჯიევიც დაღესტნელი იყო. მას ფიცი ჰქონდა დადებული ისლამური სახელმწიფოს ხალიფას წინაშე.

ნავთობმომპოვებელ ქალაქ სურგუტში ბევრი ჩრდილოკავკასიელია.

შრომითი მიგრაცია აქ მე-20 საუკუნის 60-იან წლებში დაიწყო და 90-იანებში გაძლიერდა. დღეს აქ ბევრია ახალგაზრდა, რომელთა მშობლებიც კავკასიიდან ჩავიდნენ. ექსპერტ დენის სოკოლოვის შეფასებით, ეს ახალგაზრდები ადვილად ექცევიან ისლამური სახელმწიფოს იდეოლოგიის ქვეშ. ოფიციალური ისლამი და ზომიერი სალაფიზმი რადიკალურ სწავლებას კონკურენციას ვერ უწევს. კავკასიელები და შუააზიელები სურგუტში დისკრიმინაციასაც განიცდიან. მაგალითად, პოლიციაში ან ნავთობის წარმოებაში საპასუხისმგებლო თანამდებობებზე მათ არ უშვებენ. ეს ზრდის საპროტესტო განწყობას და ხელს უწყობს ისლამური სახელმწიფოს იდეოლოგიის გავრცელებას მათში, ვინც ზომიერი ისლამის მიმდევარი არ არის.

## განცხადება

ქ-ნი ზაირა ორჯონიკიძის მემკვიდრეთა საყურადღებოდ (გარდაცვლილი 06.02.2017 წელს, დაბადებული 05.03.1934 წელს). სამემკვიდრეო საქმე იწარმოება ნოტარიუსთან, ბატონ ოთარ ზოიძესთან. სანოტარო კანტორა მდებარეობს ქ. თბილისში, მარჯანიშვილის ქუჩა №21, IV სართული.
დაინტერესებულმა პირებმა მიმართეთ ნოტარიუსს 29 სექტემბრის ჩათვლით.

# მწერალი ცოტნე ცხვედიანი დააკავეს



ახალგაზრდა მწერალი ცოტნე ცხვედიანი დააკავეს. იგი საქართველოს რკინიგზის შენობასთან გამართულ საპროტესტო აქციაში მონაწილეობდა. მწერალმა რამდენიმე ადამიანთან ერთად შენობაში შესვლა სცადა, რაც პოლიციასთან დაპირისპირებაში გადაიზარდა. სამართალდამცველებმა ათამდე აქტივისტი დააკავეს, მათ შორის მწერალი ცოტნე ცხვედიანი.

ინფორმაცია ამის შესახებ მისმა კოლეგამ, მწერალმა თეონა დოლენჯაშვილმა გაავრცელა:

– მოშიმშილე რკინიგზელების მხარდაჭერის გამო მწერალი ცოტნე ცხვედიანი და კიდევ რამდენიმე აქტივისტი დაიჭირეს. და საერთოდ, რა ხდება? რამე ახალი რეჟიმია?

# ვახო ბიჭიკაშვილი მეორე ბიჭის მამა გახდა



„კომედი შოუს“ იუმორისტი ვახო ბიჭიკაშვილი მეორე ბიჭის მამა გახდა. მისი და მისი მეუღლის, სოფო რევიას პატარა ჩაჩავას კლინიკაში დაიბადა. დედა-შვილი თავს კარგად გრძნობს.

სასიხარულო ინფორმაცია ბედნიერმა მამიკომ თავად გაავრცელა და ჩაჩავას კლინიკაში გადაღებული ფოტო ინტერნეტშიც გაავრცელა:

– ორი ბიჭის მამა ვარ და ქართლის დედას დაგილოცავთ.

ვახოს და სოფოს 5 წლის ანდრია ჰყავთ. ბედნიერი მშობლები სოციალურ ქსელში უამრავ მილოცვას და საუკეთესო სურვილებს იღებენ.

# რუსულად თარგმნილი „გურული დღიურების“ ჰონორარი აგვისტოს ომში დაღუპული სამხედროს გოგონას გადაეცემა



მწერალ გიორგი კეკელიძის „გურული დღიურები“ მკითხველში დიდი პოპულარობით სარგებლობს და ათასობით ტირაჟით იყიდება. ნაწარმოები უკვე არაერთ ენაზე ითარგმნა. სულ მალე „გურული დღიურები“ რუსულ ენაზეც ითარგმნება. მისი ავტორის გადაწყვეტილებით კი, ჰონორარი მთლიანად აგვისტოს ომში დაღუპული სამხედროს გოგონას გადაეცემა.

გიორგი კეკელიძე:

– „გურული დღიურები“ მალე რუსულადაც გამოიცემა. ჩემი გადაწყვეტილებით და ეს გარეკანზეც მითითებულია საგანგებოდ, საავტორო ჰონორარი გადაეცემა საქართველოს მხრიდან აგვისტოს ომში დაღუპული სამხედროს გოგონას. ვეცდებით, ამ ფორმით რუსულ ბაზარზეც შევიდეს. რუსულენოვანი მოსახლეობის ქვეყნებში ისედაც შევა. წინასიტყვაობის ავტორი მსახიობი მერაბ ნინიძეა. თარგმნა ანასტასია ხატიაშვილს ეკუთვნის.

# ხანძრის კერებზე კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებს სპეციალისტები აკვირდებიან

ბოლო რამდენიმე დღეა საქართველოში ხანძარი მძვინვარებს. სხვადასხვა ადგილებში ჩნდება ცეცხლის კერები, რაც საფრთხეს უქმნის არა მარტო მოსახლეობას, არამედ ამ ადგილებში მდებარე კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებსაც.

ამიტომაც ხანძრის კერებზე კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს სპეციალისტები აკვირდებიან.

ბორჯომისა და ატენის ხეობაში განვითარებულ ხანძრულ პროცესებთან დაკავშირებით, ადგილზე არსებული შუასაუკუნეების დროის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მონიტორინგის სამსახურის თანამშრომლების ზედამხედველობის ქვეშაა მოქცეული. სპეციალისტები ხანძრის კერებთან მიმდებარე სოფლების ტერიტორიებზე განლაგებულ ეკლესია-მონასტრებს ცეცხლის გავრცელების პირველივე დღიდან აკვირდებიან.

არსებული მდგომარეობით, ხანძრის არეალი სოფელ დაბის ღვთისმშობლის სახელობის სამონასტრო კომპლექსისა და წმიდა გიორგის სახელობის ეკლესიიდან მოშორებითაა და ის ძეგლებზე ფიზიკური ზემოქმედების საფრთხეს არ ქმნის.

ხანძრის გამო საშიშროება არ ემუქრება არც ატენის ხეობის სოფელ ბოშურში მდებარე ფეტვის ხევის მონასტერს. მონიტორინგის სამსახურის თანამშრომლების ცნობით, ხანძრის ზონაში კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები არაა განთავსებული. კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს სპეციალისტები ძეგლების მდგომარეობას ხანძრის ლოკალიზებამდე დააკვირდებიან.

# მამუკა ჩარკვიანი იუბილარია



კომპოზიტორი და მომღერალი მამუკა ჩარკვიანი იუბილარია. მას 62 წელი შეუსრულდა. ხელოვანს დაბადების დღეს რიგით მსმენელებთან ერთად მისი ოჯახის წევრები და კოლეგებიც ულოცავენ.

თაკო ჩარკვიანი:

– ჩემი მამუკას დაბადების დღეა, ერთს გეტყვი მხოლოდ, ახლა კი, ამ ასაკში ზუსტად ვიცი, უშენოდ ერთი წამით არ მინდა სიცოცხლე, ისე მიყვარხარ ჩემო ძვირფასო, ჩემო ვაჟკაცო, ჩემო უნიჭიერესო და კიდევ, როგორც ჯანუკი გეტყოდა: „გაყვითლებული ძველი სიზმარი, ძველი წიგნივით შემორჩა თაროს, ვდებ ამანათში და სულს გიგზავნი, სულს, ანუ ჩემი სიცოცხლის წყაროს.“ და კიდევ, ისევ ჯანუკი: „აქ არის ჩვენი ნათელ-მირონი, აქ არის ჩვენი ყველა წოდება... სდუმს სასაფლაო მინდა ტირილი, მაგრამ არავინ არ მაგონდება.“

თავად მამუკა ჩარკვიანი კი ჟურნალისტებთან საუბარში ამბობს, რომ მისი აწმყო ისეთივეა, როგორი მდგომარეობაცაა ქვეყანაში:

– როგორი მდგომარეობაცაა ქვეყანაში, ისეთია ჩემი აწმყოც. ერთი ვიცი, რომ ყველაფერი ორ წელიწადში ვერ გაუმჯობესდება. მაგრამ ეს ოხერი დროც აღარ არის. 50 წელი სხვანაირად ვიცხოვრე, 50 წლის შემდეგ სულ სხვანაირად ვცხოვრობ, უფრო კარგი მეუღლე ვარ, კარგი მამა. მინდა, უფალმა 20 წელი მაინც კიდევ მაცოცხლოს, ვიყო ამ ქვეყანაზე და სარგებელი მოვუტანო ჩემს ხალხს.

ხალხმა კი მამუკა ჩარკვიანს უდიდესი სიყვარული მაშინ დაუმტკიცა, როდესაც დიდი საკონცერტო დარბაზის წინ მამასთან, ჯანსუღ ჩარკვიანთან ერთად ვარსკვლავი გაუხსნა.

იუბილარ მომღერალს ერთი ნატვრა აქვს:

– მინდა ჩემი აპარატით დავუარო სოფლებს და უფასო კონცერტები ჩავატარო. ხალხს გავახარებ, ვეტყვი, რომ მამუკას მათგან არაფერი უნდა, სიყვარულის გარდა.

# პანტომიმის თეატრი პოლონეთში მიიწვიეს




საქართველოს სახელმწიფო პანტომიმის თეატრი პოლონეთის საერთაშორისო ფესტივალზე მიიწვიეს. მიუხედავად არაერთი პრობლემისა, თეატრი პოლონეთში გაემგზავრა, სადაც მაესტრო ამირან შალიკაშვილის შემოქმედებას წარმოადგენს.

26 აგვისტოს პანტომიმის თეატრის დასი პოლონეთის ქალაქ ვროტსლავში „შალიკაშვილის შოუ ქეისს“ წარმოადგენს.

ინფორმაციას პანტომიმის თეატრის დირექტორი, უმცროსი ამირან შალიკაშვილი ავრცელებს:

– „შალიკაშვილის თეატრი“ უსურვებს დიდ წარმატებას ჩვენს დასს. ჩვენ ვაშენებთ თეატრს. წარმატებები ჩემს მსახიობებს.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

## კალეიდოსკოპი

### ნიუ იორკში პირველი პოსტერების მუზეუმი გაიხსნება




ნიუ იორკში, პირველ არტსივრცეში, რომელიც პოსტერებს ეძღვნება, 2018 წელს მუზეუმი გაიხსნება. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ადგილობრივი გამოცემა ავრცელებს.

ახალ მუზეუმს ეწოდა პოსტერს ჰაუსი. მისი მიზანია, თვალი მიადევნოს პლაკატების ისტორიას და პოსტერების დიზაინზე, პოლიტიკასა და გამომსახველობით ხელოვნებაზე ზეგავლენის თაობაზე მოგვითხროს. ამ დროისთვის კოლექცია ათასზე მეტ ობიექტს მოიცავს. ექსპოზიციის ფართი დაახლოებით 1,4 ათას კვადრატულ მეტრს მოიცავს.

დროებითი გამოფენა, რომელიც პოსტერ ჰაუსის გახსნა ეძღვნება, მუშაობას 20 სექტემბერს დაიწყებს და ერთი თვე გაგრძელდება.

### ტაილანდელმა მაშველებმა ღმერთს დახმარება სთხოვეს და 311 სული დაიჭირეს



ტაილანდელმა მაშველებმა ქალაქ პატონგში (პროვინცია პხუკეტი) ჩინური ღმერთების პატივსაცემად მსვლელობა მოაწყვეს და ავტოსაგზაო შემთხვევების შემცირებაში დახმარება სთხოვეს. ღონისძიება დამრეცფერდობიან გორაკზე დაიწყო. მასზე მოძრავი ავტობუსები და სატვირთო მანქანები ხშირად ხვდებიან ავარიაში. შემდეგ მაშველებმა მსვლელობა ქალაქში მოაწყვეს, გვერდი აუარეს ეკლესიას, რომლის წინაც ივლისში ორი ავტოკატასტროფა მოხდა და რასაც ადამიანები ემსხვერპლნენ, მივიდნენ დელფინის ქანდაკებამდე, რომელიც პატონგის პლაჟის ჩრდილოეთ ნაწილშია აღმართული. მსვლელობის მონაწილეებმა ჩინურ ცოდნისა და ასტროლოგიის ღმერთ ხე ეიუნიას შესთხოვეს, სახიფათო გორაკზე სიმშვიდე დაემკვიდრებინა. პროცესიაში მონაწილეობდნენ მედიუმები ხის სამკუთხედებით, რომლებიც სულების დასაჭერადაა განკუთვნილი. მათი მტკიცებით, მსვლელობის დროს მათ 167 მამაკაცის, 124 ქალისა და 20 ბავშვის სულის დაჭერა შეძლეს.

– ჩვენ მოველით, რომ ამიერიდან ავარიების რიცხვი შემცირდება, – განუცხადა ჟურნალისტებს ცერემონიის ერთ-ერთმა მონაწილემ.

ქ. ხ.


# განცხადებები

● საწყობში გვჭირდება ორი თანამშრომელი, მეწარმის გამოცდილებით. სასურველია რუსული ენის ცოდნა. ტელ: 599-61-75-82.

● განყოფილების ხელმძღვანელს ესაჭიროება თანაშემწე პერსონალის შესარჩევად. სასურველია რუსული ენის ცოდნა. ტელ: 555-57-83-54.

**გთავაზობთ სამსახურს**

● გვესაჭიროება თანამშრომელი ოფისში სამუშაოდ. სწავლა და მხარდაჭერა გარანტირებულია. ღირსეული ხელფასი. რუსული ენის ცოდნა აუცილებელია. ტელ: 568-52-50-02.

● რუსულენოვან კომპანიას ესაჭიროება უფროსის მოადგილე. სამუშაო გამოცდილება აუცილებელია. ტელ: 579-02-49-90.

**მკურნალობა**

●სტომატოლოგიური მომსახურეობა ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ერთი ყბის ფასი 130 ლარი. კეთდება რუსული, იტალიური, იაპონური კბილები, გარანტიით. ტელ: 555-72-64-98.

●კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატიზმის, პოდაგრების, ართრიტების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, სითხის დაბალანსება სახსარში, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა – შედეგები 100%-იანია. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულებისგან სწრაფი გათავისუფლება, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, დეპრესია), ღვიძლის დაავადების მკურნალობა, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიები, დიარეა, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან 100%-იანი შედეგებით. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.

● მკურნალობამამაკაცებისათვისგარანტირებული შედეგებით – იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა, ქავილი, ტკივილი, ქრონიკული ინფექციები (ვირუსები, ვენერიული) – მკურნალობა უკუჩვენების გარეშე. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 595-293-299; 218-14-90 ექიმი ქ-ნი ინგა.

● სიმაღლეში ზრდის სწრაფი მეთოდი თვეში 3-5 სმ, ძვლის მკვებავი მინერალები + ვარჯიშები, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროს, ასევე გახდომა თვეში 5-20 კგ ინდივიდუალური მეთოდი ყველა პაციენტთან – შედეგები 100%-იანი. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 ექიმი ქ-ნი სალომე.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომპანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის ადენომის (ავთვისებიანი გადაგვარების დროსაც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობის, წვის, შარდვისას ტკივილის, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● კუჭ-ნაწლავისმკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

# ევროპა თანდათან ხურდება

## სტატისტიკა, ფსონები

დაიწყო ჩემპიონატი ევროპის წამყვან საფეხბურთო ქვეყნებში. ჯერ „გახურება" მიმდინარეობს. ასე რომ, გადაჭრით რამის თქმა შეუძლებელია. თუმცა, ერთი ნათელია – ნამდვილად დაძაბული და სანახაობრივი მატჩები ელით ფეხბურთის გულშემატკივრებს. თუნდაც ამ უქმეებზე ინგლისში, სადაც ლივერპული არსენალს დაუხვდება.



### ინგლისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 26.08 | ბორნმუთი-სიტი | 9.0 | 5.0 | 1.33 |
| 26.08 | კრ.პალასი-სუონსი | 1.91 | 3.4 | 4.0 |
| 26.08 | ჰადერსფილდი-საუთჰემპტონი | 3.6 | 3.25 | 2.1 |
| 26.08 | ნიუკასლი-ვესტ ჰემი | 2.3 | 3.3 | 3.1 |
| 26.08 | უოტფორდი-ბრაიტონი | 1.91 | 3.3 | 4.33 |
| 26.08 | მანჩესტერი-ლესტერი | 1.3 | 5.5 | 9.5 |
| 27.08 | ჩელსი-ევერტონი | 1.4 | 4.5 | 7.5 |
| 27.08 | ვესტ ბრომვიჩი-სტოკი | 2.45 | 3.0 | 3.1 |
| 27.08 | ლივერპული-არსენალი | 2.15 | 3.6 | 3.2 |
| 27.08 | ტოტენჰემი-ბარნლი | 1.25 | 5.5 | 13.0 |

**ბორნმუთი-სიტი**

ბორნმუთი: ***ტრავმ***-ჯუნიორ სტანისლასი, კალუმ უილსონი

სიტი: ***ტრავმ***-ილქაი გუნდოგანი

**კრ.პალასი-სუონსი**

კრ.პალასი: ***ტრავმ***-ბაქარი საკო, პაპე სუარე

სუონსი: ***ტრავმ***-ნათან დაიერი

**ჰადერსფილდი-საუთჰემპტონი**

ჰადერსფილდი: ***ტრავმ***-არავინ

საუთჰემპტონი: ***ტრავმ***-არავინ

**ნიუკასლი-ვესტ ჰემი**

ნიუკასლი: ***ტრავმ***-არავინ

ვესტ ჰემი: ***ტრავმ***-ენდი კეროლი

**უოტფორდი-ბრაიტონი**

უოტფორდი: ***ტრავმ***-მაურო ზარატე, დარილ იანმაატი, იუნის კაბული

ბრაიტონი: ***ტრავმ***-არავინ

**მანჩესტერი-ლესტერი**

მანჩესტერი: ***ტრავმ***-მარკოს როხო, ლუკ შოუ

ლესტერი: ***ტრავმ***-რობერტ ჰანტი

**ჩელსი-ევერტონი**

ჩელსი: ***ტრავმ***-არავინ

ევერტონი: ***ტრავმ***-როს ბარკლი, სიმუს კულემანი, იანიკ ბოლასიე

**ვესტ ბრომვიჩი-სტოკი**

ვესტ ბრომვიჩი: ***ტრავმ***-არავინ

სტოკი: ***ტრავმ***-იბრაჰიმ აფელაი, სტივენ აირლანდი

**ლივერპული-არსენალი**

ლივერპული: ***ტრავმ***-ადამ ლალანა

არსენალი: ***ტრავმ***-ალექსის სანჩისი

**ტოტენჰემი-ბარნლი**

ტოტენჰემი: ***ტრავმ***-დენი სოუზი, ერიკ ლამელა

ბარნლი: ***ტრავმ***-არავინ

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1.მანჩესტერი | 2 | 2 | 0 | 0 | 8-0 | 6 |
| 2.ჰადერსფილდი | 2 | 2 | 0 | 0 | 4-0 | 6 |
| 3.ვესტ ბრომვიჩი | 2 | 2 | 0 | 0 | 2-0 | 6 |
| 4.უოტფორდი | 2 | 1 | 1 | 0 | 5-3 | 4 |
| 5.სიტი | 2 | 1 | 1 | 0 | 3-1 | 4 |
| 6.ლივერპული | 2 | 1 | 1 | 0 | 4-3 | 4 |
| 7.საუთჰემპტონი | 2 | 1 | 1 | 0 | 3-2 | 4 |
| 8.ევერტონი | 2 | 1 | 1 | 0 | 2-1 | 4 |
| 9.ლესტერი | 2 | 1 | 0 | 1 | 5-4 | 3 |
| 10.ტოტენჰემი | 2 | 1 | 0 | 1 | 3-2 | 3 |
| 11.არსენალი | 2 | 1 | 0 | 1 | 4-4 | 3 |
| 12.ჩელსი | 2 | 1 | 0 | 1 | 4-4 | 3 |
| 13.ბარნლი | 2 | 1 | 0 | 1 | 3-3 | 3 |
| 14.სტოკი | 2 | 1 | 0 | 1 | 1-1 | 3 |
| 15.სუონსი | 2 | 0 | 1 | 1 | 0-4 | 1 |
| 16.ბორნმუთი | 2 | 0 | 0 | 2 | 0-3 | 0 |
| 17.ნიუკასლი | 2 | 0 | 0 | 2 | 0-3 | 0 |
| 18.ბრაიტონი | 2 | 0 | 0 | 2 | 0-4 | 0 |
| 19.კრ.პალასი | 2 | 0 | 0 | 2 | 0-4 | 0 |
| 20.ვესტ ჰემი | 2 | 0 | 0 | 2 | 2-7 | 0 |

### ესპანეთი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 26.08 | ალავესი-ბარსელონა | 10.0 | 5.5 | 1.28 |
| 26.08 | ხირონა-მალაგა | 2.25 | 3.2 | 3.3 |
| 26.08 | ლევანტე-დეპორტივო | 2.25 | 3.2 | 3.3 |
| 26.08 | ლას პალმასი-ატლეტიკო | 4.4 | 3.6 | 1.8 |
| 27.08 | ეიბარი-ბილბაო | 2.6 | 3.2 | 2.75 |
| 27.08 | ესპანიოლი-ლეგანესი | 2.0 | 3.1 | 4.2 |
| 27.08 | ხეტაფე-სევილია | 3.5 | 3.5 | 2.05 |
| 27.08 | რეალი-ვალენსია | 1.17 | 7.0 | 15.0 |

**ალავესი-ბარსელონა**

ალავესი: ***ტრავმ***-ვიქტორი

ბარსელონა: ***ტრავმ***-ანდრეს ინიესტა, ლუის სუარესი, რაფინია, პიკე

**ხირონა-მალაგა**

ხირონა: ***ტრავმ***-არავინ

მალაგა: ***ტრავმ***-მიგელ ტორესი

**ლევანტე-დეპორტივო**

ლევანტე: ***ტრავმ***-არავინ

დეპორტივო: ***ტრავმ***-კარლეს ჟილი; ***დისკვ*** ემრე გოლაკი

**ლას პალმასი-ატლეტიკო**

ლას პალმასი: ***ტრავმ***-ხოსე გომესი; ***დისკვ***-ერნანი

ატლეტიკო: ***ტრავმ***-კევინ გამეირო; ***დისკვ***-ანტუან გრიზმანი

**ეიბარი-ბილბაო**

ეიბარი: ***ტრავმ***-პედრო ლეონი, ანაიც არბილია

ბილბაო: ***ტრავმ***-ანდერ იტურასპე

**ესპანიოლი-ლეგანესი**

ესპანიოლი: ***ტრავმ***-დიეგო ლოპესი, ოსკარ დუარტე

ლეგანესი: ***ტრავმ***-ჯონ სერანტესი

**ხეტაფე-სევილია**

ხეტაფე: ***ტრავმ***-არავინ

სევილია: ***ტრავმ***-არავინ

**რეალი-ვალენსია**

რეალი: ***ტრავმ***-არავინ; ***დისკვ***-კრიშტიანუ რონალდუ

ვალენსია: ***ტრავმ***-ლუის ნანი

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.რეალი | 1 | 1 | 0 | 0 | 3-0 | 3 |
| 2.ბარსელონა | 1 | 1 | 0 | 0 | 2-0 | 3 |
| 3.სოსიედადი | 1 | 1 | 0 | 0 | 3-2 | 3 |
| 4.ეიბარი | 1 | 1 | 0 | 0 | 1-0 | 3 |
| 5.ლეგანესი | 1 | 1 | 0 | 0 | 1-0 | 3 |
| 6.ლევანტე | 1 | 1 | 0 | 0 | 1-0 | 3 |
| 7.ვალენსია | 1 | 1 | 0 | 0 | 1-0 | 3 |
| 8.ატლეტიკო | 1 | 0 | 1 | 0 | 2-2 | 1 |
| 9.ხირონა | 1 | 0 | 1 | 0 | 2-2 | 1 |
| 10.ესპანიოლი | 1 | 0 | 1 | 0 | 1-1 | 1 |
| 11.სევილია | 1 | 0 | 1 | 0 | 1-1 | 1 |
| 12.ბილბაო | 1 | 0 | 1 | 0 | 0-0 | 1 |
| 13.ხეტაფე | 1 | 0 | 1 | 0 | 0-0 | 1 |
| 14.სელტა | 1 | 0 | 0 | 1 | 2-3 | 0 |
| 15.ალავესი | 1 | 0 | 0 | 1 | 0-1 | 0 |
| 16.ლას პალმასი | 1 | 0 | 0 | 1 | 0-1 | 0 |
| 17.მალაგა | 1 | 0 | 0 | 1 | 0-1 | 0 |
| 18.ვილიარეალი | 1 | 0 | 0 | 1 | 0-1 | 0 |
| 19.ბეტისი | 1 | 0 | 0 | 1 | 0-2 | 0 |
| 20.დეპორტივო | 1 | 0 | 0 | 1 | 0-3 | 0 |

### გერმანია

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 26.08 | ვერდერი-ბაიერნი | 9.5 | 6.0 | 1.22 |
| 26.08 | აინტრახტი-ვოლფსბურგი | 2.3 | 3.1 | 3.0 |
| 26.08 | შტუტგარტი-მაინცი | 2.2 | 3.3 | 3.0 |
| 26.08 | ლევერკუზენი-ჰოფენჰაიმი | 2.0 | 3.6 | 3.2 |
| 26.08 | აუგსბურგი-გლადბახი | 3.0 | 3.2 | 2.25 |
| 26.08 | დორტმუნდი-ჰერტა | 1.36 | 4.75 | 7.0 |
| 27.08 | ლაიპციგი-ფრაიბურგი | 1.4 | 4.33 | 7.0 |
| 27.08 | ჰანოვერი-შალკე | 2.9 | 3.3 | 2.25 |

**ვერდერი-ბაიერნი**

ვერდერი: ***ტრავმ***-იზეტ ჰაიროვიჩი, სამბუ იატარაბე

ბაიერნი: ***ტრავმ***-ტიაგო ალკანტარა, ჟერომ ბოატენგი, მანუელ ნოიერი

**აინტრახტი-ვოლფსბურგი**

აინტრახტი: ***ტრავმ***-დანი ბლუმი, სლობოდან მედიეოვიჩი

ვოლფსბურგი: ***ტრავმ***-ვიერინია

**შტუტგარტი-მაინცი**

შტუტგარტი: ***ტრავმ***-არავინ

მაინცი: ***ტრავმ***-ნიკო ბუნგერტი

**ლევერკუზენი-ჰოფენჰაიმი**

ლევერკუზენი: ***ტრავმ***-ლარს ბენდერი, ტინ იედვაი

ჰოფენჰაიმი: ***ტრავმ***-ალექსანდერ შტოლცი

**აუგსბურგი-გლადბახი**

აუგსბურგი: ***ტრავმ***-ტიმ რიედერი, კაიბუ

გლადბახი: ***ტრავმ***-იოსიპ დრმიჩი, ბა-მუაკა სიმაკალა

**დორტმუნდი-ჰერტა**

დორტმუნდი: ***ტრავმ***-რაფაელ გერერო, ერიკ დარმი, მარკო როისი, ანდრე შურლე

ჰერტა: ***ტრავმ***-არავინ

**ლაიპციგი-ფრაიბურგი**

ლაიპციგი: ***ტრავმ***-ბერნარდო

ფრაიბურგი: ***ტრავმ***-გეორგ ნიდერმაიერი

**ჰანოვერი-შალკე**

ჰანოვერი: ***ტრავმ***-არავინ

შალკე: ***ტრავმ***-ბრეელ ემბოლო

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.დორტმუნდი | 1 | 1 | 0 | 0 | 3-0 | 3 |
| 2.ბაიერნი | 1 | 1 | 0 | 0 | 3-1 | 3 |
| 3.ჰერტა | 1 | 1 | 0 | 0 | 2-0 | 3 |
| 4.შალკე | 1 | 1 | 0 | 0 | 2-0 | 3 |
| 5.გლადბახი | 1 | 1 | 0 | 0 | 1-0 | 3 |
| 6.ჰამბურგი | 1 | 1 | 0 | 0 | 1-0 | 3 |
| 7.ჰანოვერი | 1 | 1 | 0 | 0 | 1-0 | 3 |
| 8.ჰოფენჰაიმი | 1 | 1 | 0 | 0 | 1-0 | 3 |
| 9.აინტრახტი | 1 | 0 | 1 | 0 | 0-0 | 1 |
| 10.ფრაიბურგი | 1 | 0 | 1 | 0 | 0-0 | 1 |
| 11.აუგსბურგი | 1 | 0 | 0 | 1 | 0-1 | 0 |
| 12.კიოლნი | 1 | 0 | 0 | 1 | 0-1 | 0 |
| 13.მაინცი | 1 | 0 | 0 | 1 | 0-1 | 0 |
| 14.ვერდერი | 1 | 0 | 0 | 1 | 0-1 | 0 |
| 15.ლევერკუზენი | 1 | 0 | 0 | 1 | 1-3 | 0 |
| 16.ლაიპციგი | 1 | 0 | 0 | 1 | 0-2 | 0 |
| 17.შტუტგარტი | 1 | 0 | 0 | 1 | 0-2 | 0 |
| 18.ვოლფსბურგი | 1 | 0 | 0 | 1 | 0-3 | 0 |

### იტალია

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 26.08 | ჯენოა-იუვენტუსი | 8.0 | 4.5 | 1.4 |
| 26.08 | ბენევენტო-ბოლონია | 2.75 | 3.2 | 2.62 |
| 26.08 | რომა-ინტერი | 2.3 | 3.6 | 2.87 |
| 27.08 | ტორინო-სასუოლო | 1.75 | 3.8 | 4.4 |
| 27.08 | ნაპოლი-ატალანტა | 1.4 | 4.75 | 7.5 |
| 27.08 | კიევო-ლაციო | 3.6 | 3.3 | 2.1 |
| 27.08 | სპალი-უდინეზე | 2.5 | 3.2 | 2.87 |
| 27.08 | მილანი-კალიარი | 1.22 | 6.0 | 13.0 |
| 27.08 | კროტონე-ვერონა | 2.4 | 3.2 | 3.0 |
| 27.08 | ფიორენტინა-სამპდორია | 1.85 | 3.75 | 4.0 |

**ჯენოა-იუვენტუსი**

ჯენოა: ***ტრავმ***-არავინ

იუვენტუსი: ***ტრავმ***-არავინ

**ბენევენტო-ბოლონია**

ბენევენტო: ***ტრავმ***-არავინ

ბოლონია: ***ტრავმ***-არავინ

**რომა-ინტერი**

რომა: ***ტრავმ***-არავინ

ინტერი: ***ტრავმ***-არავინ

**ტორინო-სასუოლო**

ტორინო: ***ტრავმ***-არავინ

სასუოლო: ***ტრავმ***-არავინ

**ნაპოლი-ატალანტა**

ნაპოლი: ***ტრავმ***-არავინ

ატალანტა: ***ტრავმ***-არავინ

**კიევო-ლაციო**

კიევო: ***ტრავმ***-არავინ

ლაციო: ***ტრავმ***-არავინ

**სპალი-უდინეზე**

სპალი: ***ტრავმ***-არავინ

უდინეზე: ***ტრავმ***-არავინ

**მილანი-კალიარი**

მილანი: ***ტრავმ***-არავინ

კალიარი: ***ტრავმ***-არავინ

**კროტონე-ვერონა**

კროტონე: ***ტრავმ***-არავინ

ვერონა: ***ტრავმ***-არავინ

**ფიორენტინა-სამპდორია**

ფიორენტინა: ***ტრავმ***-არავინ

სამპდორია: ***ტრავმ***-არავინ

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.მილანი | 1 | 1 | 0 | 0 | 3-0 | 3 |
| 2.ინტერი | 1 | 1 | 0 | 0 | 3-0 | 3 |
| 3.იუვენტუსი | 1 | 1 | 0 | 0 | 3-0 | 3 |
| 4.ნაპოლი | 1 | 1 | 0 | 0 | 3-1 | 3 |
| 5.კიევო | 1 | 1 | 0 | 0 | 2-1 | 3 |
| 6.რომა | 1 | 1 | 0 | 0 | 1-0 | 3 |
| 7.სამპდორია | 1 | 1 | 0 | 0 | 2-1 | 3 |
| 8.ბოლონია | 1 | 0 | 1 | 0 | 1-1 | 1 |
| 9.ჯენოა | 1 | 0 | 1 | 0 | 0-0 | 1 |
| 10.ლაციო | 1 | 0 | 1 | 0 | 0-0 | 1 |
| 11.სპალი | 1 | 0 | 1 | 0 | 0-0 | 1 |
| 12.სასუოლო | 1 | 0 | 1 | 0 | 0-0 | 1 |
| 13.ტორინო | 1 | 0 | 1 | 0 | 1-1 | 1 |
| 14.ატალანტა | 1 | 0 | 0 | 1 | 0-1 | 0 |
| 15.ბენევენტო | 1 | 0 | 0 | 1 | 1-2 | 0 |
| 16.უდინეზე | 1 | 0 | 0 | 1 | 1-2 | 0 |
| 17.ვერონა | 1 | 0 | 0 | 1 | 1-3 | 0 |
| 18.კალიარი | 1 | 0 | 0 | 1 | 0-3 | 0 |
| 19.კროტონე | 1 | 0 | 0 | 1 | 0-3 | 0 |
| 20.ფიორენტინა | 1 | 0 | 0 | 1 | 0-3 | 0 |

### საფრანგეთი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 26.08 | ნანტი-ლიონი | 3.75 | 3.4 | 2.0 |
| 26.08 | დიჟონი-მონპელიე | 2.5 | 3.3 | 2.8 |
| 26.08 | ამიენი-ნიცა | 3.1 | 3.2 | 2.87 |
| 26.08 | კაენი-მეცი | 1.75 | 3.6 | 4.75 |
| 26.08 | ბორდო-ტრუა | 1.44 | 4.4 | 7.0 |
| 26.08 | ტულუზა-რენი | 2.3 | 3.1 | 3.3 |
| 27.08 | გენგამი-სტრასბურგი | 1.91 | 3.4 | 4.2 |
| 27.08 | ანჟე-ლილი | 2.15 | 3.25 | 3.5 |
| 27.08 | მონაკო-მარსელი | 1.61 | 4.2 | 5.0 |

**ნანტი-ლიონი**

ნანტი: ***ტრავმ***-არავინ

ლიონი: ***ტრავმ***-არავინ

**დიჟონი-მონპელიე**

დიჟონი: ***ტრავმ***-ხულიო ტავარესი

მონპელიე: ***ტრავმ***-არავინ

**ამიენი-ნიცა**

ამიენი: ***ტრავმ***-არავინ

ნიცა: ***ტრავმ***-ვალენტინ იესერიჩი, მიშელ ლე ბიანი, მარიო ბალოტელი

**კაენი-მეცი**

კაენი: ***ტრავმ***-ჯეფ ლუისი

მეცი: ***ტრავმ***-არავინ

**ბორდო-ტრუა**

ბორდო: ***ტრავმ***-არავინ

ტრუა: ***ტრავმ***-არავინ

**ტულუზა-რენი**

ტულუზა: ***ტრავმ***-ისა დიოპი

რენი: ***ტრავმ***-მორგან ამალფიტანო, იოან გურკუფი, სანინ პრჩიჩი

**გენგამი-სტრასბურგი**

გენგამი: ***ტრავმ***-არავინ

სტრასბურგი: ***ტრავმ***-არავინ

**ანჟე-ლილი**

ანჟე: ***ტრავმ***-აბდუალიე ბამბა, ბილი კეტკეოპომპონე, ისმაილ ტრაორე

ლილი: ***ტრავმ***-ნამზა მენდილი, ადამა სუმარო

**მონაკო-მარსელი**

მონაკო: ***ტრავმ***-არავინ

მარსელი: ***ტრავმ***-დიმიტრი პაიე

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.პსჟ | 3 | 3 | 0 | 0 | 11-2 | 9 |
| 2.მონაკო | 3 | 3 | 0 | 0 | 8-3 | 9 |
| 3.სტ.ეტიენი | 3 | 3 | 0 | 0 | 5-0 | 9 |
| 4.ლიონი | 3 | 2 | 1 | 0 | 9-4 | 7 |
| 5.მარსელი | 3 | 2 | 1 | 0 | 5-1 | 7 |
| 6.ბორდო | 3 | 1 | 2 | 0 | 7-5 | 5 |
| 7.ანჟე | 3 | 1 | 2 | 0 | 5-3 | 5 |
| 8.ტრუა | 3 | 1 | 1 | 1 | 3-3 | 4 |
| 9.მონპელიე | 3 | 1 | 1 | 1 | 2-2 | 4 |
| 10.სტრასბური | 3 | 1 | 1 | 1 | 4-5 | 4 |
| 11.ნიცა | 3 | 1 | 0 | 2 | 3-3 | 3 |
| 12.კაენი | 3 | 1 | 0 | 2 | 2-2 | 3 |
| 13.ლილი | 3 | 1 | 0 | 2 | 3-5 | 3 |
| 14.გენგამი | 3 | 1 | 0 | 2 | 3-6 | 3 |
| 15.ნანტი | 3 | 1 | 0 | 2 | 1-4 | 3 |
| 16.ტულუზა | 3 | 1 | 0 | 2 | 5-9 | 3 |
| 17.რენი | 3 | 0 | 2 | 1 | 4-5 | 2 |
| 18.დიჟონი | 3 | 0 | 1 | 2 | 3-9 | 1 |
| 19.მეცი | 3 | 0 | 0 | 3 | 1-6 | 0 |
| 20.ამიენი | 3 | 0 | 0 | 3 | 0-7 | 0 |

# აკროპოლისი საქართველოსია



„აკროპოლისის თასზე" საქართველოს საკალათბურთო ნაკრებმა სერბეთის ეროვნული გუნდი დაამარცხა და ტურნირის გამარჯვებული გახდა. მიუხედავად იმისა, რომ ილიას ზუროსის გუნდი პირველ პერიოდში 10 ქულას აგებდა, გამართული, მიზანმიმართული და დალაგებული თამაშის წყალობით გამარჯვება მოიპოვა – 68:66.

თუკი ვინმე იფიქრა, რომ საქართველოს ნაკრებს საბერძნეთთან გაუმართლა, სერბეთთან მოგების შემდეგ ამას გულში აღარ გაივლებს. ევროპული კალათბურთის ტოპნაკრებებს, გუნდებს, რომლებსაც ევროპის ჩემპიონატის მოგების, მინიმუმ საპრიზო ადგილების მოპოვების ამბიცია აქვთ, ჩვენმა ნაკრებმა ამხანაგური მატჩები მოუგო. ლიტვასა და საბერძნეთს საქართველომ სერბეთიც მიაყოლა და ევროპული საკალათბურთო საზოგადოების თვალში აქამდე არნახულ სიმაღლემდე აღზევდა. შეხვედრა ქართველებმა საბერძნეთთან მატჩის მსგავსად დაიწყეს – თავიდან მეტოქემ საკუთარი თამაში მოგვახვია და სოლიდურად დაწინაურდა. სერბებმა უპირატესობა როგორც პერიმეტრზე, ისე ფარქვეშ მოიპოვეს. ბოგდან ბოგდანოვიჩის სამქულიანებს ოგნიენ კუზმიჩის ფარქვეშ შედეგიანობა დაერთო, მოედანზე გამოსულმა სერბმა გოლიათმა, ბობან მარიანოვიჩმა კი სამწამიანში ფეხი გაიდგა და სლავები 18:8 დაწინაურდნენ.

საქართველოს ნაკრებმა მეოთხედის მიწურულს დაცვა გაამაგრა, მანუჩარ მარკოიშვილმა და თორნიკე შენგელიამ სამქულიანები ჩააგდეს და პირველ შესვენებაზე საქართველო 5-ქულიანი დეფიციტით გავიდა – 15:20.

მეორე პერიოდში ზუროსის გუნდმა მეტოქეს აჯობა. გიორგი ცინცაძე ბურთს საიმედოდ ათამაშებდა და კარგ პოზიციაზე გაჰყავდა გიორგი შერმადინი, თორნიკე შენგელია... კარგად ჩაერთო თამაშში გოგა ბითაძეც, რომელმაც ფარქვეშიდან ორჯერ იხეირა, ბურთებიც მოხსნა და საქართველოს ნაკრებმა ჯერ ანგარიში გაათანაბრა, შემდეგ კი, ტაიმის დასრულებამდე 1.24 წუთით ადრე, მანუჩარ მარკოიშვილის სამქულიანის შემდეგ წინაც გავიდა – 32:31. პირველი ტაიმი კი ფრედ – 36:36 დასრულდა.

მესამე პერიოდში სერბებმა მცირე უპირატესობაა მოიპოვეს და 4-5 ქულიან ლიდერობას ინარჩუნებდნენ. სლავებმა მე-3 პერიოდი 19:14 მოიგეს და მესამე მეოთხედის შემდეგ 55:50 იგებდნენ. თამაში თანაბარი იყო და ყველაფერი ბოლო პერიოდს უნდა გადაეწყვიტა. დასკვნით მეოთხედში თანაბარი ბრძოლა გაგრძელდა, თუმცა სერბები მცრე უპირატესობას ინარჩუნებდნენ და ძირითადად 2-3 ქულით ლიდერობდნენ.

მატჩის დასრულებამდე 1.32 წუთით ადრე თორნიკე შენგელიამ საჯარიმოს ხაზიდან ზუსტი სროლებით ანგარიში გაათანაბრა – 63:63. დაცვაში ჩვენებმა ბურთი მოიპოვეს და დუდა სანაძემ საჯარიმოს ხაზიდან საქართველო მეორე მეოთხედის შემდეგ პირველად დააწინაურა – 65:63 დასრულებამდე 1 წუთით ადრე.

საფინალო სირენამდე 53 წამით ადრე ბოგდანოვიჩი საჯარიმოდან ათანაბრებს ანგარიშს. დუდა სანაძემ 36 წამით ადრე ოქროს სამქულიანი ჩააგდო – 68:65. სერბები 1 საჯარიმოს აგდებენ და ჩამორჩენას 2 ქულამდე ამცირებენ, ქართველები კი შეტევაში ბურთს კარგავენ და ევროპული კალათბურთის გრანდს თამაშის გადასარჩენად 23 წამი რჩება. საქართველოს ნაკრებმა თავი კარგად დაიცვა, სერბებმა კი კუთხიდან მოახერხეს პოტენციურად გამარჯვების სამქულიანის სროლა, მაგრამ ვლადიმირ ლუჩიჩის ნატყორცნი არაზუსტი აღმოჩნდა, საქართველომ გაიმარჯვა და აკროპოლისის თასის გამარჯვებული გახდა!

ტურნირის მეორე მატჩში საბერძნეთმა იტალია 73:70 დაამარცხა, რითაც საქართველო 1 ტურით ადრე ყველასთვის მიუწვდომელი გახდა.

*მოამზადა მიხეილ ქორქოლიანმა*



# TV პროგრამა

## ორშაბათი 28 აგვისტო

06.10 მუსიკა პირველზე 06.30 დოკ/ფ "ბრძოლა ვეშაპების გადასარჩენად" 07.30 "ნამდვილი დრო" 08.00 ანიმაცია. "ჯიმი ნიუტრონი" გენიოსი ბიჭუნა" 09.00 ტ/სერ. "გამარჯვებული ვიქტორია" 10.00 "მარიამობა"(პ/ტრანსლაცია) 13.00, 03.10 ქართული მხ/ფ "ჩვენი ეზო" 14.30 "ქართული დოკუმენტალისტიკა" 15.00, 04.35 დოკ/ფ "დროისა და სივრცის მიღმა" 16.00, 18.00, 20.00 "მოამბე" 16.15 დოკ/ფ "ბრძოლა ვეშაპების გადასარჩენად" 17.00 ტ/სერ. "ოფისი" 18.30, 05.30 "ტელებლოგი" 19.00 ტ/სერ. "ძველი ხიდის საიდუმლო" 20.40 "სპორტის დაფა" 21.00 ტ/სერ. "ცბიერი მოახლეები" 22.00 ტ/სერ. "მთავრობა" 23.00 "ეროვნული ლიგის მიმოხილვა" 00.00 მხ/ფ "შემოდგომის ლეგენდები" (ე.ჰოპკინსი) 02.10 დოკ/ფ "ბრძოლა ვეშაპების გადასარჩენად"

ტექნიკური მიზეზების გამო არხის პროგრამას ვერ გთავაზობთ.

07.00, 14.40 სერ. "ელიფი" 08.00, 16.00 სერ. "ოჯახური პორტრეტი" 09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 04.45 ქრონიკა 09.20 სერ. "პატარძალი" 11.20 სერ. "ფიცი" 12.30 სერ. "ღირსების სახელით" 17.35 სერ. "ხაფანგი" 18.45, 19.03 სერ. "მოპარული ცხოვრება" 21.00 სერ. "ძმა" 22.30 სერ. "ელ პრინსიპე" 23.30 დოკ/ფ "ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანა – საქართველო" 00.45 მხ/ფ "ჯეინ ეარი" 02.45 მხ/ფ "პრადა და გრძნობები" 04.55 მხ/ფ "ქლოი" 04.45 მხ/ფ "მხოლოდ შეყვარებულები გადარჩებიან"

06.00, 18.45 სერ. "კაცი" 07.00, 19.45, 20.03 სერ. "დესპოტი ქმარი" 08.00 სერ. "ინდიანა ჯონსის მემკვიდრეები" 09.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00 კურიერი 09.10 სერ. "დიდებული საუკუნე-ქოსემის რისხვა" 10.15 სერ. "მფარველი ანგელოზი" 12.30 სერ. "ვარსკვლავის დაბადება" 13.55 სერ. "ფერიჰას საიდუმლო" 15.30 სერ. "წარსულის ჩრდილი" 16.55 სერ. "დაკარგული წლები" 22.00 სერ. "ჩემი ცოლის დაქალები" 23.00, 01.30, 2.00 მხ/ფ 2.30 კურიერის დაიჯესტი 3.15 მხ/ფ

08.00 ან/ფ "ავატარი 3" 09.00 სერ. "მონკი-7" 13.00 სერ. "ძვლები-3" 17.00 სერ. "სიმართლის ანატომია 2" 19.00 სერ. "ლურჯის ელფერი" 21.00 სერ. "კრიმინალური რომანი 2" 22.30 მხ/ფ "მისისიპის აჩრდილები" 00.45 მხ/ფ "ასტრონავტის ცოლი" 02.35 მხ/ფ "ხანგრძლივი ნიშნობა" 05.00 მხ/ფ "ცეცხლი და ყინული" 06.25 მხ/ფ "რომისა და მიშელის სასკოლო შეკრება"

